ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**1 მარტიდან!**
**„ახალი თაობა“ +**
**საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია**
**8 ლარი**
**ტომი 3**




2 — 3 მარტი, 2013

№51 (6052)

ფასი: 30 თეთრი




## დოდო სიდიანი-აფრასიძე: „ჩემი შვილების ადგილი ციხეში გია ბარამიძემ უნდა დაიკავოს!“

გვ.2

რას აპირებენ ციხიდან გამოსული აფრასიძეები



## ზვიად ძიძიგური: „სააკაშვილს პოლიტიკური ყელყელაობის საშუალებას აღარ მივცემთ“

გვ.3

## ნანა კაკაბაძე: „ციხეში გარდაცვლილთა ფოტოსურათები ყველამ უნდა ნახოს“

გვ.4



რა იარაღებით აწამებდნენ პატიმრებს

## თემურ შაშიაშვილი: „სააკაშვილი ქვეყანას დიდ უბედურებას მოუტანს“

გვ.6





## „თეა წულუკიანის განათლებაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს“

გვ.3



## საქართველოში თავისუფალი სასამართლო არ არის

გვ.5



## სააკაშვილი ივანიშვილს შეხვედრას ორშაბათ დილით სთავაზობს

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ბრიფინგი გამართა და ქვეყნის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის თაობაზე ისაუბრა.

„ეს შეხვედრა იყო პრეზიდენტის ინიციატივა და იდეა, ამიტომ სრულიად გაუგებარი და უსაფუძვლოა, რომ მისი ჩაშლა პრეზიდენტს დაბრალდეს. გუშინ საღამოს პრემიერმა გამოთქვა ინიციატივა, შეხვედრა დღეს შემდგარიყო, რაც პრეზიდენტის განრიგიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება. ამიტომ, პრეზიდენტის შეთავაზებაა, რომ შეხვედრა ორშაბათს, დილით შედგეს. ქვეყნის პირველი პირი საჯაროდ ადასტურებს, რომ მზადაა პრემიერს შეხვდეს იქ, სადაც პრემიერს სურს.

პრეზიდენტს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტი უცხოეთში, მაგრამ, ბუნებრივია, ის ყოველთვის მზად არის, ქვეყნის შიგნით მიმდინარე ყველა პროცესში მიიღოს აქტიური და კონსტრუქციული მონაწილეობა. ქვეყნის პირველი პირი ყველაფერს გააკეთებს, რათა, პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად მოლაპარაკების პროცესი შედგეს. საქართველოს პრეზიდენტის ინტერესია, რომ შემდეგი კვირა დაიწყოს კონსტრუქციული დიალოგითა და შეთანხმებით. უნდა ითქვას, რომ დაგროვდა საკმაოდ ბევრი საკითხი და პრეზიდენტისა და პრემიერის მოვალეობაა, რომ გაუგებრობების განსამუხტად ყველაფერი გააკეთონ, რათა ქვეყანაში შენარჩუნდეს სტაბილურობა, სამოქალაქო მშვიდობა და ქვეყანა დაუბრუნდეს განვითარების გზას“ – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადებით, შეხვედრა მიხეილ სააკაშვილთან, სახელმწიფო კანცელარიაში დღეს უნდა შემდგარიყო, თუმცა პრეზიდენტმა შეხვედრაზე უარი განაცხადა.

ნიუსპრესი

9 771987 938006

**27 თებერვლიდან!**
**„ახალი თაობა“**
**+**
**მაო ძედუნი**
**8 ლარი**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი

შორენა მარსაგიშვილი

# დოდო სიდიანი–აფრასიძე: „ჩემი შვილების ადგილი გია ბარამიძემ უნდა დაიკავოს!“

## რას აპირებენ ციხიდან გამოსული აფრასიძეები



**28 თებერვალს საპატიმრო დატოვეს შმაგი და გოჩა აფრასიძეებმა. ამ ოჯახის ტრაგედია მთელი საქართველოსთვის არის ცნობილი. ეს საქმე სტრასბურგშიც არის გაგზავნილი. აქამდე სიმართლის დადგენას შმაგისა და გოჩას დედა დოდო სიდიანი-აფრასიძე ცდილობდა. ახლა მასთან ერთად სიმართლის დასადგენად მისი შვილებიც იბრძოლებენ.**

ციხიდან გამოსული შმაგი და გოჩა აფრასიძეები ჟურნალისტებთან საუბარს თავს არიდებდნენ. მხოლოდ ის თქვეს, რომ სიმართლეს აუცილებლად იპოვიან. სიმართლის პოვნის გარდა, მათ სერიოზული მკურნალობას დასჭირდებათ. ციხეში მათ ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყათ.

დოდო აფრასიძე შვილების გათავისუფლებამ ძალიან გაახარა, თუმცა, იმდენი ტრაგედია აქვს გადატანილი, სიხარულის გამოხატვაც კი უჭირდა. ის ახლა უფრო მეტი შემართებით აპირებს ბრძოლას სიმართლის გასარკვევად. იმედი აქვს, რომ მისი შვილების ადგილს ახლა ისინი დაიკავებენ, ვინც 2004 წლის 24 მარტს სისხლიანი ოპერაცია ჩაატარა ეცერში.

დოდო სიდიან-აფრასიძეს შვილების გათავისუფლებიდან მალევე დავურეკეთ. გახარებული კი იყო, მაგრამ 9 წლის წინანდელი ტკივილი ისევ ახსენებდა თავს. მთელი ამ წლების განმავლობაში მას უწევდა 4 შვილიშვილზე და ჭკუიდან გადასულ რძალზე ზრუნვა. ის სპეცოპერაციის დროს შეიშალა.

რა აპირებენ აფრასიძეები, რა მოხდა 2004 წლის 24 მარტის დილას, ამ თემებზე დოდო სიდიანი-აფრასიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**დოდო სიდიანი-აფრასიძე:**

– ჩემი შვილები, ჩემი შმაგი და გოჩა, თავისუფლები არიან. ძალიან გახარებული ვარ. 9 წლის განმავლობაში ჩემი შვილები ტყუილად ისხდნენ ციხეში. მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა, ვინც გვერდით ედგა ჩემს ოჯახს. ვიცი, რომ ჩემი ოჯახის ტრაგედიას ბევრი განიცდიდა. მადლობა ყველას, ვისაც ჩემი გოჩას და შმაგის გამოსვლა გაუხარდა. მართალია, ისინი გარეთ არიან, მაგრამ სასიხარულოდ მაინც არა აქვს ჩემს ოჯახს საქმე.

*– რატომ?*

– მოგეხსენებათ, ჩვენ 2 მიცვალებული დავმარხეთ. დამარხვის საშუალებაც კი არ მოგვცეს. ჩემი მეუღლე ცოცხლად დაწვეს. ჩემი შმაგი და გოჩაც სასიკვდილოდ გაიმეტეს. 17 და 19 წელი მიუსაჯეს ბიჭებს. ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, კიდევ დიდხანს მოუწევდათ მათ ციხეში ყოფნა. ისინი გია ბარამიძის პირადი პატიმრები იყვნენ. ახლა ბიჭები გარეთ არიან, მათ ადგილს დამნაშავე ბარამიძე დაიკავებს. ის წავა ციხეში.

*– დარწმუნებული ხართ, რომ წავა ციხეში?*

– თუ სადმე სამართალი არსებობს, ბარამიძე ციხეში უნდა იყოს.

*– მთავარმა პროკურატურამ დაიწყო ამ საქმის ძიება. ამ საქმეზე თქვენ უკვე დაიკითხეთ. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, დადგინდება სიმართლე?*

– სიმართლე, ფაქტობრივად, უკვე დადგენილია. ყველამ კარგად იცის, რა მოხდა 2004 წელს ეცერში. მაქვს იმედი, რომ ამ საქმეს გამოიძიებენ.

*– თქვენი შვილები რას ამბობენ?*

– სიმართლის დასადგენად იბრძოლებენ. მადლობა ღმერთს, არსებობენ მოწმეები, რომლებიც სიმართლეს იტყვიან. ისინიც დაადასტურებენ, რა მოიმოქმედა ბარამიძემ.

*– ბარამიძე ამ ბრალდებებს უარყოფს. ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც თქვა, ეცერში სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ ჩავედიო.*

– აბა, ვინ ხელმძღვანელობდა სპეცოპერაციას? ადრე იმით ამაყობდა, ეს ოპერაცია მე ჩავატარეო. ახლა იქ არ ყოფილა? თავიდანვე იქ იყო! კარგად მახსოვს მაგის ძველი ინტერვიუები. იძახდა, ისეთი წინააღმდეგობა გაგვიწიეს აფრასიძეებმა, ძლივს გადავრჩითო.

*– წინააღმდეგობას მართლაც ჰქონდა ადგილი?*

– არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. სპეცოპერაცია გამთენიისას დაიწყო. ჩვენ ყველას გვეძინა.

*– თქვენთვის ამის გახსენება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ იქნებ კიდევ ერთხელ გაიხსენოთ, რა მოხდა იმ სისხლიან დილას ეცერში?*

– ჩვენს ოჯახს 2004 წლის 24 მარტს დაესხნენ თავს. ის, რაც იქ მოხდა, სპეცოპერაცია არ ყოფილა. ეს იყო ომი. 1200 მებრძოლი და 123 ვერტმფრენი საომარ მოქმედებებშიც არ მონაწილეობს ხოლმე.

*– რა საჭირო იყო ამხელა ძალის გამოყენება?*

– ამით საზოგადოება დააშინეს. მართლა არ ვიცი, რა საჭირო იყო ამდენი ხალხი. ოჯახში სულ 4 კაცი იყო. მცირეწლოვან შვილიშვილებს, ჩემს რძალს და მე რა წინააღმდეგობა უნდა გაგვეწია.

*– მახსოვს, ბარამიძე ამბობდა ვოვა მურავიოვზე, მეტყვიამფრქვევე იყო, სპეციალურად რუსეთიდან ჩამოიყვანესო.*

– ვოვა ჩემს ბიჭებთან ერთად დააპატიმრეს. ის ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ ჩვენმა ნათესავებმაც დატოვეს იქაურობა. ვოვა მათთან იყო მიკედლებული. ისიც წამოვიდა მათთან ერთად. იმის მერე ჩვენთან ცხოვრობდა, მე მეხმარებოდა საქონლის მოვლაში. ტყვიამფრქვევისა რა იცოდა იმან. სპეცოპერაციას ვის წინააღმდეგაც ატარებენ, იმათ აფრთხილებენ და იარაღის დაყრისა და ჩაბარებისკენ მოუწოდებენ. ჩვენ გაუფრთხილებლად დაგვესხნენ თავს.

*– არანაირი გაფრთხილება არ ყოფილა?*

– არანაირი. ჯარის ნაწილი წინა ღამით ჩუმად შემოუყვანიათ სოფელში. იმათ სოფელში მცხოვრები მამაკაცები დააკავეს და კოშკში გამოკეტეს. ეშინოდათ, რომ ისინი ჩვენ დაგვეხმარებოდნენ.

*– სოფლიდან ვერავინ გაგაფრთხილათ, რომ თქვენ წინააღმდეგ რაღაც მზადდებოდა?*

– ამის უფლებას ვის მისცემდნენ. საქონელი მყავდა და დილით ადრე ვდგებოდი. იმ დღესაც ადრე ავდექი. საშინელი ხმაური შემომესმა. აივანზე გავედი და ცაში ავიხედე. ცა ვერტმფრენებით იყო სავსე. უცბად წამოვიდა ტყვიის წვიმა. შეშინებული, სახლში შევვარდი. იმ წუთას იმაზე ვფიქრობდი, როგორ გადამერჩინა 4 შვილიშვილი. ტყვიების წვიმა სახლშიც აღწევდა. შეშინებული ბავშვები საწოლის ქვეშ შევყარეთ. მე და ჩემი რძალი ზემოდან გადავეფარეთ 4 ბავშვს. ჩემი ბიჭი, შმაგი, საწოლს ლეიბებსა და საბნებს აყრიდა, რათა ბავშვები ტყვიების წვიმისგან დაეცვა. სროლა დიდხანს გაგრძელდა. მთელი უბანი კვამლში იყო გახვეული. ცოტა ხანში ცეცხლი დაბლიდანაც გაგვიხსნეს. კოშკზე სნაიპერი იყო გამაგრებული და ისიც გვესროდა. ჯერ მთელ უბანს ესროდნენ. რამდენიმე წუთში დაადგინეს, რომელი იყო ჩვენი სახლი და მხოლოდ ჩვენი მიმართულებით გაგრძელდა სროლა.

*– არც ამ სროლის შემდეგ მოუთხოვიათ, ჩაგვბარდითო?*

– არა. ჩემი მეუღლე, ევგენი აფრასიძე, ხელებაწეული გავიდა გარეთ. ამით ევგენიმ ანიშნა, წინააღმდეგობის გაწევას არ გიპირებთ და გბარდებითო. ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

*– ვერ დაინახეს?*

– შეიძლება, დაინახეს კიდევაც. მგონია, რომ მათ გეგმაში ჩვენი განადგურება შედიოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის მერე სროლას შეწყვეტდნენ.

*– ეს სპეცოპერაცია ომეხ აფრასიძის ასაყვანად ჩაატარეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ. ამ დროს ვიცით, რომ თქვენი შვილი, ომეხი, აპირებდა, პოლიციას ჩაჰბარებოდა. ეს რამდენიმე პიროვნებამ დაადასტურა.*

– ომეხი მართლაც აპირებდა ჩაბარებას. ის მარტის ბოლოსთვის აპირებდა ამის გაკეთებას, მაგრამ ვინ აცალა. დარწმუნებული ვარ, 24 მარტს იმიტომ დაგვესხნენ თავს, არ უნდოდათ, ომეხის ეცოცხლა.

*– ამბობენ, მან ბევრი რამ იცოდაო.*

– ომეხმა მართლა იცოდა ბევრი რამ. ეს ინფორმაცია აშინებდა ზოგიერთებს. ამიტომაც მოკლეს ჩემი შვილი. ის ცოცხლად აიყვანეს და დახვრიტეს. ხელებშეკრული დახვრიტეს. ჩემი მეუღლე კი ცოცხლად დაწვეს. ევგენი, როგორც გითხარით, ხელებაწეული გავიდა გარეთ. მას იღლიაში მოხვდა ტყვია. ევგენი რომ დაიჭრა, იმ დროისთვის გოჩას ბავშვები მეზობელთან გადაჰყავდა. იქიდან დაბრუნებულს, მამა დაჭრილი დახვდა. დაჭრილი ევგენი ომეხმა და გოჩამ შეიყვანეს სახლში. ტახტზე დააწვინეს. ის იმ ოთახში დაიწვა ცოცხლად.

*– რატომ გგონიათ, რომ ცოცხლად დაიწვა, იქნებ მიღებული ჭრილობებით გარდაიცვალა?*

– როცა ომი დამთავრდა და ესენი წავიდნენ, შევედით გადამწვარ სახლში. ევგენის ძვლები კართან ეყარა. ბიჭებმა ის ტახტზე დააწვინეს. ეტყობა, ცეცხლი რომ გაჩნდა, გარეთ გამოსვლა სცადა, მაგრამ ველარ შეძლო და დაიწვა.

*– მის გამოსაყვანად არავინ შესულა?*

– სახლს ცეცხლი ბარამიძის ბრძანებით გაუჩინეს. ბარამიძემ არ შეუშვა არავინ ევგენის გამოსაყვანად. ის უყურებდა, როგორ იწვებოდა სახლი. სახლთან ერთად ჩაიწვა ჩემი მეუღლეც. ბარამიძე ადამიანის ძვლებზე დანთებულ კოცონზე ხელებს ითბობდა.

*– თქვენ სად იყავით ამ დროს?*

– მე მეორე სახლში ვიყავი და გარეთ ვერ გავდიოდი. სპეცრაზმის წევრები სახლში რომ შემოვიდნენ და გადასაფარებლები გაიტანეს, მივხვდი, რომ ჩემი ოჯახის წევრები მკვდრები იყვნენ. ერთ-ერთი პოლიციელი მომიბრუნდა და გესლიანად მითხრა: ქმარი მოგიკალით, შვილი მოგიკალით, სახლი გადაგიწვით, ახლა შეგიძლია, მშვიდად იცხოვროო. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი. ესენი რომ წავიდნენ, მეზობელმა მიამბო, როგორ დახვრიტეს ომეხი. ამას ჩემი შვილიშვილიც უყურებდა. იმ საშინელ დღეს გოჩაც დამიხვრიტეს, მაგრამ იქ ექიმი იყო და იმან გადამირჩინა შვილი. ომეხს მარტო დახვრეტა არ აკმარეს და თითიც მოაჭრეს. ის თითზე ბრილიანტის ბეჭედს ატარებდა. სცადეს, ხელიდან წაეძროთ, ვერ მოახერხეს და ამიტომ თითი მოაჭრეს მთლიანად. ბეჭდის გარდა, ოქროს ჯაჭვიც მოჰგლიჯეს. მკვდარს გულზე ფეხი დაადგეს და ასე ააგლიჯეს ჯაჭვი. მე თანახმა ვარ, ჩატარდეს ჩემი შვილის გვამის ექსპერტიზა. ეს დაადგენს, რომ ომეხს თითი აქვს მოჭრილი. რაღაცა დროის შემდეგ შმაგისთან გამომძიებელი მივიდა, ომეხის ბეჭედსა და გულსაკიდს ხელში ათამაშებდა. უკითხავს, გეცნობაო? მერე თავადვე დაუყოლებია: თქვენი იყო, ახლა ჩვენი იქნებაო. სიკვდილი არ გვაკმარეს და დაგვცინეს. ბარამიძე იქ იყო მთელი სპეცოპერაციის მანძილზე. მის თვალწინ და მისი ბრძანებით დახოცეს ჩემი ქმარი და შვილი. მის თვალწინ გადაწვეს ჩემი სახლი და შიგ ცოცხლად გამოწვეს ჩემი მეუღლე.

*– ბარამიძე პირადად ნახეთ?*

– პირადად არ მინახავს. ის იქ ასეულობით ადამიანმა ნახა.

*– დაადასტურებენ მის იქ ყოფნას?*

– მთელი სოფელი, 400 ადამიანი მაინც არის მოწმე იმისა, რომ ბარამიძე იქ იყო. ეს ადამიანები მარტო მის იქ ყოფნას კი არა, იმასაც დაადასტურებენ, რა ჩაიდინა ამ კაცმა. მეზობლებს უთხოვიათ, ომეხის ცხედარი მოგვეცით, გავაპატიოსნებთო და ბარამიძემ უპასუხა, ჯერ სახლში შედით, ევგენის ძვლები გამომიტანეთ და მერეო. მოწმეები არიან, რომ ბარამიძემ ქალებს კუბდარის მიტანა უბრძანა. მისთვის კუბდარი არავის მიუტანია.

*– ბარამიძე კუბდარის მოთხოვნასაც კატეგორიულად უარყოფს.*

– ვნახოთ, რას იტყვის, როცა ასეულობით ადამიანი დაადასტურებს ამას. კუბდარი რომ არ მიუტანეს, თავისი თანამშრომლები გაგზავნა და მესტიიდან ამოატანინა კონსერვები. საჭმლის ნარჩენები მერე მიცვალებულის ფეხებთან დაყრილი ვნახეთ. დაჰკითხონ მეზობლები და არაერთი მათგანი მისცემს ჩვენებას, თუ როგორ ითბობდა ცეცხლზე ხელებს გია ბარამიძე და როგორ მიირთმევდა მიცვალებულის ფეხებთან საჭმელს. ბარამიძე ჩემი სახლის ფიცრებსა და ჩემი მეუღლის ძვლებზე გაჩაღებულ კოცონზე ითბობდა ხელებს, თუმცა, სანამ სახლს გადაწვავდნენ, პოლიციელებმა სახლიდან 12 ტომრით გაიტანეს ნადავლი, რაც ჩვენთვის არ დაუბრუნებიათ. ამის გამკეთებლები აუცილებლად დაისჯებიან. პირველი იქნება ბარამიძე. ის კანონით აგებს პასუხს. ჩვენ მას კომპენსაციასაც მოვთხოვთ. სახლი აღარ გვაქვს. მისი ბრძანებით გადაგვიწვეს.

*– ბარამიძის გარდა, იქ სხვა მაღალჩინოსნები არ ყოფილან?*

– მეზობლებმა გაიხსენეს, რომ მასთან ერთად ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილიც იყვნენ. მათ ხალხმა ნაკლები ყურადღება მიაქცია, იმიტომ რომ ბარამიძე იყო ძალიან აქტიური. ის აუცილებლად მოხვდება ციხეში. მასთან ერთად პასუხს აგებს საააკაშვილი. სწორედ მან გასცა ჩვენი ოჯახის ამოწყვეტის ბრძანება. ეს თავად აღიარა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზვიად ძიძიგური: „სააკაშვილს პოლიტიკური ყელყელაობის საშუალებას აღარ მივცემთ“

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ზვიად ძიძიგურთან:**

***– ბატონო ზვიად, პრეზიდენტის ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები, ექსპერტთა შეფასებით, საფრთხის შემცველია. რა დგას ამ ყველაფრის უკან?***

– დიდი გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების სამყაროდან გამოვიდა, როგორც პრეზიდენტი. დღეს პრეზიდენტი გადასული არის 100 პროცენტით ოპოზიციურ რეჟიმში სამუშაოდ. ისეთი ოპოზიციის როლი მოირგო თავისი თავისთვის, რომლის ფორმულაა, რაც უარესი, მით უკეთესი. როდესაც მიხეილ სააკაშვილი აეროპორტში ასეთი ტიპის განცხადებას აკეთებს, ეს არის ცალსახად ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ასეთი ტიპის ინფორმაცია მიიღოს პრეზიდენტმა, შესაძლებელია მართლაც იყოს შეშფოთების საფუძველი, მაგრამ ის თემები, რომელიც ქვეყნებს შორის ურთიერთობას ეხება, სეპარატისტულ მოძრაობებს ეხება, როგორც წესი, ამ საკითხებზე მაღალი თანამდებობის პირები საჯაროდ არ საუბრობენ, პირიქით მოქმედებენ, რომ ქვეყნის კანონმდებლობის, კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყანაში არ დაიწყოს ისეთი მოვლენები, რომელმაც შეიძლება არეულობა და დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. ვიმეორებ, ძალიან ვწუხვარ, რომ მიხეილ სააკაშვილი ასეთი ტიპის განცხადებებს აეროპორტებში აკეთებს. როგორც ჩანს, საერთოდ აიღო მან ხელი თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვაზე. მეტიც, ხელის შემშლელად გვევლინება ქვეყნის შიგნით და გარეთ. სააკაშვილი უკვე ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მოქმედებს. სხვა შეფასება შეუძლებელია ადამიანმა გააკეთოს მის ქმედებებსა და განცხადებებზე. ყველა დესტრუქციული ქმედება თუ განცხადება ბოლო დროინდელი, რომელიც მიხეილ სააკაშვილს უკავშირდება 8 თებერვლიდან დაწყებული, რომელიც მისი აქტიური მონაწილეობით განხორციელდა, სხვა შეფასების გაკეთების შესაძლებლობას არ გიტოვებს.

***– პრეზიდენტის მიერ დაცვაზე უარის თქმას ამ კონტექსტში განიხილავთ?***

– დაცვის სამსახურთან დაკავშირებით სერიოზული სკანდალი აქვს ატეხილი. იქ, სადაც არაფერი სასკანდალო არ არის. თუ იმას გავითვალისწინებთ, როდესაც მისი ადმინისტრაციის ბიუჯეტი შემცირდა, სასწრაფოდ შუქი ჩააქრო თავის რეზიდენციაში და განაცხადა, დევნას განვიცდიო. ეს ყველაფერი ერთიან სურათს ქმნის.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ძირითადად პრეზიდენტის რეზიდენციის და მისი ოჯახის დაცვით იყო დაკავებული. პრეზიდენტის დაცვის სამსახურში 12 ესკორტი იყო, რომელიც 200-ზე მეტ მანქანას მოიცავდა და ამაში სახელმწიფო არაადეკვატურად მაღალ თანხას იხდიდა. სანამ შევიდა კანონი ძალაში, რომელიც პარლამენტმა ერთი თვის წინ მიიღო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური 2800 კაცისგან შედგებოდა და ამისთვის ბიუჯეტიდან 42 მილიონი ლარი იხარჯებოდა, გამოდის, რომ საშუალოდ საქართველოს მოსახლეობა პრეზიდენტის დაცვაზე ყოველდღიურად 50 ათას ლარს ხარჯავდა. საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, პრეზიდენტს ადმინისტრაციის ფარგლებში შეუძლია დანიშნოს საკუთარი




დაცვის უფროსი დაახლოებით 400 კაცამდე დაცვის წევრების უფლებით.

პრეზიდენტის ბიუჯეტი 7 მილიონი ლარი იქნება, ვინაიდან მას აქვს 7 თვე დარჩენილი, მას შეუძლია, თვეში ერთი მილიონი ლარი დახარჯოს.

***– ბატონო ზვიად, პრეზიდენტის ბოლოდროინდელი განცხადებების მიზეზი რა შეიძლება იყოს?***

– მიხეილ სააკაშვილს ქართულ პოლიტიკაში დევნილის სტატუსით უნდა დარჩენა. უნდა საკუთარი იმიჯის შექმნა, როგორც ოპოზიციონერის. ის უკვე, როგორც პრეზიდენტი, ისე აღარ იქცევა. ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ეს არის რეალობა. საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, ჩვენი პოლიტიკური კოალიციაც, ვფიქრობ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილიც, ამ რეალობას მიიღებს ფაქტად. ამას სჭირდება მხოლოდ როგორც ფაქტს, ისე დაფიქსირება. ამ საკითხზე გადამეტებული მნიშვნელობის მინიჭება არ შეიძლება.

***– კონსტიტუციის ცვლილებასთან დაკავშირებით პრეზიდენტს პრემიერის შეთავაზებით თავისი პოზიცია ორ-სამ დღეში უნდა დაეფიქსირებინა, ამან ხომ არ გაანაწყენა? ამ შეთავაზებაზე მან დიალოგის გაგრძელების მზადყოფნა გამოთქვა...***

– საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მისი პოზიციის დაფიქსირების აუცილებლობამ, მისი პოზიციის გააქტიურება გამოიწვია, მაგრამ თვითონ, რა თქმა უნდა, ისეთი კონცეფციით საქმიანობს, რომ ყველგან, ყველაფერში ხელი შეუშალოს დღევანდელ ხელისუფლებას. ყველგან, ქვეყნის გარეთ დეზინფორმაცია გაიტანოს ქვეყანაში ვითომ პოლიტიკური ზეწოლისა და არასტაბილურობის შესახებ. ეს არის მისი ტაქტიკა, რომლითაც ის მოქმედებს, მაგრამ მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ არასდროს საქართველოს ხელისუფლება არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორიც დღეს არის. პოლიტიკურ მოვლენებზე კონტროლის თვალსაზრისით, მოსახლეობის მხარდაჭერის თვალსაზრისით ჩვენ ხელისუფლება ძალიან ძლიერია, სტაბილურად გამოიყურება. დილიდან საღამომდე მუშაობენ მინისტრები, რომლებსაც ერთადერთი ნაკლი აქვთ, ისინი საქმეს აკეთებენ და გაკეთებულ საქმეზე მოსახლეობას არაფერს არ ეუბნებიან. ეს არის ის მოცემულობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. ვფიქრობ, ეს ნაკლი გამოსასწორებელია. ჯანდაცვის პროგრამა იქნება, სოციალური საკითხები თუ ენერგეტიკის მიმართულება, ამასთან დაკავშირებით პოზიტიური გადადგმული ნაბიჯები საზოგადოებას უნდა ეცნობოს. ირაკლი ღარიბაშვილის სტრუქტურის შესაბამისი პერსონა უნდა გამოვიდეს და განაცხადოს, რომ ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება გაუმჯობესებულია. წლევანდელი წლის სტატისტიკა უფრო უკეთესია, ვიდრე შარშან ახალიას თუ მერაბიშვილის მინისტრობის პირობებში იყო. ეს რეალობაა და ამაზე უნდა ვთქვათ. ჩვენი მთავრობის წევრები მათ მიერ გაკეთებულ საქმეებზე დუმილს ირჩევენ, ვიდრე მოსახლეობის ინფორმირებულობას. ამით სარგებლობენ ჩვენი ოპონენტები და გაჰკივიან, რომ ყველაფერი ცუდად არის, რომ ხელისუფლება საარჩევნო დაპირებებს არ ასრულებს. ქვეყანაში აღმშენებლობაა დაწყებული. რამდენიმე თვეში უმუშევრობის პრობლემასთან სერიოზული ბრძოლა დაიწყება.

***– როგორ?***

– ეს არის ჩვენი პრემიერის მთავარი გამოწვევა და ის ამ გამოწვევას ღებულობს და ძალიან აქტიურად არის ჩართული ამ პრობლემის მოგვარებაში.

***– მოქალაქეების ინფორმირებულობას რომ დავუბრუნდეთ, ახალმა ხელისუფლებამ უარი თქვა პიარზე, თუმცა, გამოჩნდა, რომ ამის საჭიროება ხშირად არის, როგორც ამბობენ. თუ იყო საუბარი შიგნით, რომ ეს საჭიროა?***

– ჩვენ ამასთან დაკავშირებით მთავრობის პოზიცია მოსმენილი გვაქვს. ვიცით ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, რომელიც აცხადებს: თუ რამეს ვაკეთებთ, ამას ხალხს ხომ არ დავამადლით. ბიძინა ივანიშვილი საქართველოში 20 წლის განმავლობაში ორგანიზებულ ქველმოქმედებას ეწეოდა. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილი ისევ იმ სტილში აგრძელებს საქართველოსთვის კეთილი საქმეების კეთებას, რაც პრემიერ-მინისტრის რანგში ეს ადეკვატური არ უნდა იყოს. ბიძინა ივანიშვილი და მთავრობა ჯანდაცვის პროგრამას რომ ახორციელებენ, ვალდებულები არიან, ამის შესახებ ხალხს ინფორმაცია მიაწოდონ სრულად, ამომწურავად. ერთი ბრიფინგის მეშვეობით კი არა, უნდა გაკეთდეს შესაბამისი კლიპები, საინფორმაციო უზრუნველყოფა. ასევე კრიმინოგენული მდგომარეობის თაობაზე, როდესაც ამდენი საუბარია მის გაზრდაზე, რაც რეალობას არ შეესაბამება. ამიტომ ვამბობ, რომ სწორი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოსახლეობას. ერთხელ და ორჯერ არ არის საკმარისი ამის გაჟღერება. ეს სამთავრობო პოლიტიკის სერიოზულ ნაწილად უნდა გადაიქცეს. ერთადერთი, რასაც მე აღვნიშნავდი ჩვენი ხელისუფლების მუშაობაში ნაკლოვან მხარედ, ეს არის ის, რომ თავიანთ გაკეთებულ საქმეებზე არ საუბრობენ. ეს ძალიან ცუდია.

***– კონსტიტუციის ცვლილების საკითხს რომ დავუბრუნდეთ, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ეს საკითხი პარლამენტში კენჭისყრაზე მარტის ბოლოსთვის დადგება. რა ინფორმაცია გაქვთ, პარლამენტი კონსტიტუციის ახალ რედაქციას მიიღებს თუ ჩავარდება კენჭისყრის შედეგები?***

– შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, ბიძინა ივანიშვილის შეთავაზება მიხეილ სააკაშვილისადმი, რომ მას მხარი დაეჭირა ამ საკონსტიტუციო ცვლილებისადმი, განპირობებული იყო ორი მიზეზით: ერთი, სააკაშვილის დათანხმების შემთხვევაში ის პოლიტიკური კინკლაობა, რომელიც გამართულია ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, დამთავრდებოდა. ეს საერთო ჯამში ქვეყნის ინტერესებში იყო და კარგი გამოხმაურებაც მოჰყვებოდა ყველა მხრიდან. მეორე, მიხეილ სააკაშვილს უარის თქმის შემთხვევაში არ ეძლევა შესაძლებლობა, რომ საკონსტიტუციო ცვლილების გასვლის შემდეგ თქვას, მეც მხარს ვუჭერდი. პრემიერის ამ წინადადებით სააკაშვილს პოლიტიკური ყელყელაობის საშუალება ერთმევა. ფაქტიურად მიხეილ სააკაშვილმა უარი თქვა ასეთი ტიპის პასუხის გაცემაზე. სააკაშვილმა მის გამოსვლაში ყველაფერზე ილაპარაკა, გარდა იმისა, რაც მის მიმართ იყო დასმული. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო ცვლილებები შევა ძალაში და ის მახინჯი ჩანაწერი კონსტიტუციიდან მოშორდება, უკვე არავინ დაიჯერებს საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მტკიცებას, რომ იგი მხარს უჭერდა საკონსტიტუციო ცვლილებებს. თუ ისინი მხარს არ დაუჭერენ საკონსტიტუციო ცვლილებებს, მინდა დაგარწმუნოთ, რომ არავითარი პრობლემა არც მაშინ არსებობდა, როდესაც ჩვენ ამ საკითხზე დებატები მოვიწვიეთ და კენჭისყრა გადავდეთ. კენჭისყრაც და სააკაშვილის პარლამენტში მოსვლაც გადავდეთ იმიტომ, რომ საერთაშორისო სამყაროს ყურადღება მიგვექცია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში საშიში ჩანაწერია, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში კონსტიტუციური რყევა გამოიწვიოს.

# „თეა წულუკიანის განათლებაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს“

ნათია ხურცილავა

**თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია პრეზიდენტის მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს ეხმიანება და მას არასახელმწიფოებრივს უწოდებს.**

ალასანიამ ჟურნალისტებს მთავრობის დღევანდელი სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, რომ არანაირი პრობლემა არ არსებობს იმ რეგიონებში, რომელზეც პრეზიდენტმა თავის განცხადებებში ისაუბრა.



– ჯავახეთის რეგიონში არანაირი პრობლემები არ არსებობს. იქ სიმშვიდეა და რეგიონში სტაბილური განვითარების ტემპს ვერაფერი შეაფერხებს, ჩემი აზრით, ეს იყო არასახელმწიფოებრივი განცხადებები. ისეთი განცდა მრჩება, რომ მას პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ სურვილი აქვს, ქვა ქვაზე არ დარჩეს. მართლაც შემაშფოთებელი განცხადება იყო და არა სახელმწიფოებრივი. ასეთი მიდგომა, ვიმეორებ, არასახელმწიფოებრივია და ხელს უშლის საქართველოს რეგიონალური უსაფრთხოების განვითარებას, – ამბობს თავდაცვის მინისტრი.

იგივე განცხადებას აკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრი. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ეთნიკური მოსახლეობით დასახლებულ საქართველოს რეგიონებში სეპარატიზმის არავითარი საფრთხე არ არსებობს.

– სეპარატიზმის არავითარი საშიშროება არ არსებობს. ეთნიკური მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში არის სტაბილურობა, თუ ვინმე რაიმე პროვოკაციას დაგეგმავს, მკაცრად დაისჯება, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა ბავშვური ქცევა უნდა დაასრულოს.

ალექსი პეტრიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში პრემიერისა და პრეზიდენტის დაგეგმილ შეხვედრაზე კომენტარი გააკეთა.

– ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილი ვიზიტით მიემგზავრება, არ ვიცი, სად. ამიტომაც გადაიდო პრემიერთან შეხვედრა. პრემიერი მზადყოფნას გამოთქვამს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ, რაც მის მიმართვაში იყო ასახული. პრეზიდენტმა უნდა დაასრულოს ბავშვური ქცევა და სერიოზულად მიუდგეს ამ საკითხებს. ახლა სიცხადის დროა და მან ცხადად უნდა თქვას, უარს ამბობს თუ არა მისთვის მორგებულ კონსტიტუციურ უფლებებზე, – განაცხადა პეტრიაშვილმა.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შესახვედრად მზადყოფნა გამოთქვა, მაგრამ სააკაშვილს, როგორც სჩვევია, იცრუა.

მთავრობის სხდომაზე შეკრებილმა მინისტრთა კაბინეტის ნაწილმა ჟურნალისტების იმ კითხვას უპასუხეს, რომელიც იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის უმაღლეს იურიდიულ განათლებას ეხება.

როგორც ცნობილია, კანონით იუსტიციის მინისტრს უმაღლესი იურიდიული განათლება უნდა ჰქონდეს.

– თეა წულუკიანის კომპეტენციაზე გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, თუ რამდენად არის ის კომპეტენტური. უმცირესობაში არ ვიცი კომპეტენტურობას რა კრიტერიუმებით საზღვრავენ. სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი სასაცილოა, – ამბობს ალსანია.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხით მანიპულირება ყურადღების გადატანის მცდელობაა უმცირესობის მხრიდან.

– დღეს დილით ჩამოვედი და ამის შესახებ პირველად მესმის. არ ვიცი, რა დისკუსია მიმდინარეობს, მაგრამ საერთოდ მგონია, რომ ნებისმიერი მინისტრის კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანა ოპოზიციის იაფფასიანი ხრიკებია, რომ ყურადღება სხვა თემებზე გადაიტანონ, – აცხადებს მაია ფანჯიკიძე.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა პრაღაში გამართული შეხვედრის შესახებაც გააკეთა კომენტარი.

შეხვედრა პრაღაში პრემიერ-მინისტრის რუსეთთან ურთიერთობებში პირად წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შორის გაიმართა.

– იმედი მაქვს, რომ უფრო მეტი კონკრეტიკა იქნება. გარდა ამისა, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე იქნება საუბარი შეხვედრაზე, – ამბობს ფანჯიკიძე.

ვიცე-პრემიერის, განათლების მინისტრ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლაში ქართველებს წარადგენდნენ, როგორც იმ ქვეყნიდან, საიდანაც თეა წულუკიანი არის.

# ნანა კაკაბაძე: „ციხეში გარდაცვლილთა ფოტოსურათები ყველამ უნდა ნახოს“



რა იარაღებით აწამებდნენ პატიმრებს

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***– ქალბატონო ნანა, თქვენ გამოხვედით ინიციატივით და მოუწოდეთ ციხეში გარდაცვლილი პატიმრების მშობლებს, მოგაწოდონ ფოტოსურათები და ინფორმაცია თავიანთი შვილების შესახებ. იქნებ უფრო ვრცლად გვიამბოთ ამ ინიციატივის შესახებ?***

– ახლა თქვენი გაზეთის საშუალებით პირველად ვამბობ, რომ პოლიტპატიმრები გამოდიან ინიციატივით, 14 აპრილს შევიკრიბოთ სპორტის სასახლეში, მოვუწოდოთ ყველა უფლებაშელახულ ადამიანს, ვინც 9 წლის განმავლობაში ამ რეჟიმისგან იყო დაზარალებული, შევხვდეთ და მოვითხოვოთ ერთად რეჟიმის გასამართლება. სწორედ ამ დღისთვის გვინდა, გვქონდეს ყველა იმ ადამიანის ფოტო, რომელიც ციხეებში გარდაიცვალა ამ რეჟიმის დროს. ამიტომ ჩვენ მოვუწოდეთ ოჯახის წევრებსაც, გადმოგვცენ ფოტოები და თავიანთი პატიმრების მოკლე ბიოგრაფია.

***– იმათი, ვინც 9 წლის განმავლობაში ციხეში გარდაიცვალა?***

– დიახ, 9 წლის განმავლობაში ციხეში გარდაცვლილი ადამიანების. ასზე მეტი ახალგაზრდა ბიჭია ქუჩაში ჩახოცილი. ათასზე მეტი ადამიანია ციხეებში ჩახოცილი. 190 უკვე ცნობილია პოლიტპატიმრად ანუ რეჟიმის მსხვერპლად პარლამენტის მიერ. ასევე უამრავია ქონებაწართმეული, ბიზნესდარეკეტებული და ასე შემდეგ. ჩვენ გვინდა, ყველა ეს ადამიანი შევკრიბოთ და მოვთხოვოთ დღევანდელ ხელისუფლებას, გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა აღდგეს სამართლიანობა და გასამართლდეს ის რეჟიმი, რომელმაც ეს ადამიანები დააზარალა.

***– რამდენად მასობრივია უკვე გამოხმაურება თქვენს ინიციატივაზე?***

– საკმაოდ მასობრივია. დღე არ არის, ორი-სამი ადამიანი მაინც არ მირეკავდეს და არ მეუბნეობდეს, რომ აი მოგვაქვს სურათები, მოგვაქვს ბიოგრაფიები და სად შეიძლება განახოთ. რამდენიმე წუთის წინ ერთ-ერთი გარდაცვლილი პატიმრის მშობელმა დამირეკა და მოაქვს ფოტოსურათი და ბიოგრაფია თავისი გარდაცვლილი პატიმრის. თქვენ იცით ე.წ. კრიტი, ციხე, რომელიც დაიხურა ამ რამდენიმე დღის წინ. ჩვენ გვინდა, რომ ამ საპყრობილის ნაწილი გადმოგვეცეს, როგორც მუზეუმი, რეჟიმის მსხვერპლთა მუზეუმი, სადაც გამოფენილი იქნება, არა მარტო 9 წლის განმავლობაში გარდაცვლილი პატიმრების ფოტოსურათები და მათი გარდაცვალების მიზეზები, არამედ გამოფენილი იქნება იმ წამების იარაღები, რომლითაც ადამიანებს აწამებდნენ ციხეებში ამ 9 წლის განმავლობაში. ასევე გაშვებული იქნება ის ფილმები და კადრები, რომელიც არის ამ თემატიკასთან დაკავშირებით გადაღებული და შექმნილი. იგივე გოგა ხაინდრავას ფილმი და სხვა, რომელიც იქნება სწორედ ამ პერიოდის ამსახველი. დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ ნახონ როგორც ის ადგილი, თუ სად და რა პირობებში ამყოფებდა სააკაშვილის ე.წ. დემოკრატიის შუქურის ხელისუფლება ამ ადამიანებს, რა პირობებში ჰყავდა ისინი და ასევე ნახონ კონკრეტული მაგალითები და კონკრეტული ინფორმაციები, რა მოჰყვა შედეგად ამ რეჟიმს თუნდაც ციხეებში.

***– როგორი სტატისტიკაა? რა ინფორმაციებიც თქვენთან შემოდის, ძირითადად წამებით არიან ეს პატიმრები გარდაცვლილი თუ ავადმყოფობით?***

– ოფიციალურად ყველას უწერია, რომ ან გულ-სისხლძარღვთა დაავადებით, ან თვითმკვლელობით, არც ერთი არ არის წამებითა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად გარდაცვლილი. რეალურად კი აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ რომ წამების შედეგად არის გარდაცვლილი. გარდა ციხეში გარდაცვლილებისა, არის ინფორმაცია და ეს შეიძლება კიდევ უფრო მეტი რაოდენობითაც იყოს, საავადმყოფოებში რომ გადაჰყავდათ და იქ იღუპებოდნენ. თავის დროზე, თუ გახსოვთ, ტუღუშმაც კი გააკეთა თავის ანგარიშში – სიკვდილის ექსპორტიო ანუ თითქმის გარდაცვლილი პატიმრები ან უკვე გარდაცვლილი პატიმრები გადაჰყავდათ ქალაქის საავადმყოფოებში და იქ ხდებოდა მათი გარდაცვალება, ან უკვე მომაკვდავს ათავისუფლებდნენ, რომ ციხეს არ დასწეროდა გარდაცვლილი პატიმარი.

***– როდესაც შეაგროვებთ სრულ ინფორმაციას, თუ აპირებთ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმის კურსში ჩაყენებას?***

– ბუნებრივია, მივცემთ ამ ინფორმაციებს საერთაშორისო ორგანიზაციებს. ჩვენ ეს ყველაფერი გვინდა იმისთვის, რომ ინფორმირება მოხდეს საზოგადოების, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ვინც არის ამ პრობლემით დაინტერესებული, ნახოს, რა რეჟიმი გამოიარა ქართველმა ხალხმა ამ ცხრა წლის განმავლობაში და ვის უჭერდნენ მხარს და ვის ეძახდნენ დემოკრატიის შუქურას. ამას უამრავი მსხვერპლი მოჰყვა, როგორც სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებით, ასევე უკანონო პატიმრობით, პოლიტიკური დევნილობით, ბიზნესის წართმევით, დაყაჩაღებით, ქონების წართმევით და უამრავი პრობლემით, რომელიც ამ რეჟიმს და ამ სისტემას თან ახლდა. ეს, რა თქმა უნდა, იქნება ღია. ხომ გითხარით, მუზეუმს გავაკეთებთ, თუკი ამაზე ხელისუფლება წამოვა და ამ ყველაფერს მუზეუმში გამოვფენთ, რომ რაც შეიძლება ფართო საზოგადოებამ ნახოს და ასევე შთამომავლობამ. ეს არა მხოლოდ ანგარიშსწორებაა იმ რეჟიმისა, რომელმაც ეს ყველაფერი ჩაიდინა, არამედ სხვა ნებისმიერი მომავალი ხელისუფლებისთვის ეს უნდა იყოს მწარე გაკვეთილი იმისა, რომ ეს არ დარჩება დაუსჯელი. დასჯაში რას ვგულისხმობ, იგივე ჩვენი საზოგადოების მხრიდან ეს დარჩება შავ ფურცლად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც ამ რეჟიმს ამყარებდნენ და იცავდნენ, დარჩებიან, როგორც ჯალათები. ნებისმიერმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ისიც ასეთ ბედს გაიზიარებს, თუკი ვინმე გადაწყვეტს, ასეთივე ფორმით მართოს ქვეყანა, როგორც სააკაშვილის რეჟიმი მართავდა.

***– ქალბატონო ნანა, ასევე ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესებიც მინდა შევაფასოთ. ვხედავთ, რომ სააკაშვილი აღარანაირ ჩარჩოში აღარ ჯდება, არავის და არაფერს ემორჩილება. რამდენად არის პროვოკაციის შემცველი მისი ქმედებები და რამდენად მიდის ამაზე შეგნებულად? თუნდაც დაცვაზე უარის თქმა?***

– მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი უმრავლესობა ძალიან ხელოვნურად ქმნის ოპოზიციად ნაციონალურ მოძრაობას. ეს არის აბსოლუტურად ხელოვნური პროცესი, რომ ისინი არიან ოპოზიცია. უსხდებიან მათ დებატებში, ეთერებში, მათთან ერთად საუბრობენ, მათთან შედიან პოლემიკაში და არ უყურებენ იმას, რასაც უნდა უყურებდნენ. ნაციონალები იყვნენ კრიმინალები, როდესაც ლაპარაკია იმაზე, როდესაც, ერთი მხრივ, ცნეს, რომ 150 პოლიტპატიმარი ჰყავდა ქვეყანას, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი პოლიტიკურ დევნას აწარმოებდნენ, უკანონო პატიმრობას აწარმოებდნენ ხალხისას. როდესაც ცნობ იმას, რომ ამ ხალხს ასეულობით ადამიანი მოკლული ჰყავს და შენ კიდევ იმას რაღაცა დიალოგის რეჟიმში და ოპოზიციის რეჟიმში ესაუბრები და არა იმაზე, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ. დღეს უმრავლესობა უნდა იჯდეს სხვა, გარეთ დარჩენილი ოპოზიციის წარმომადგენლებთან და მსჯელობდეს იმ საკითხებზე, როგორ უნდა მოხდეს, როგორ დარეგულირდეს და როგორ აღდგეს სამართლიანობა. როგორ ხედავს ამას ხალხი, რა ნაბიჯებია ამისათვის გადასადგმელი, რომ ქვეყანაში აღდგეს სამართლიანობა. ამაზე უნდა მსჯელობდეს არა იმ ადამიანებთან, ვინც ჩაიდინა დანაშაული და არიან ამ კრიმინალური მმართველობის მონაწილეები და ავტორები, არამედ უნდა მსჯელობდნენ სხვა საზოგადოებასთან. სხვა ოპოზიციურ ძალებთან უნდა იხილავდნენ ამ საკითხს და ამ კრიმინალებისგან არ უნდა ქმნიდნენ ოპოზიციას.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ დიდ ყურადღებას უთმობს ხელისუფლება ნაციონალებს?***

– კი, ახლა საზოგადოება ხედავს, ხალხი ხედავს, რომ სააკაშვილი არის გასული საერთოდ ყველანაირი ჩარჩოდან და არაადეკვატურია, თუმცა, ამ თავისი არაადეკვატურობით მაინც ახერხებს პიარს, იმდენად ძლიერია, რომ ვიღაცები დასავლეთში მაინც მოატყუოს. ჩვენ რა უნდა გვაინტერესებდეს, ვინ არის მოტყუებული დასავლეთში თუ ვინ არის დაზარალებული ქვეყნის შიგნით, ჩვენივე ქვეყნის მოსახლეობა და როგორ ვუშველოთ იმ პრობლემას, რაც სააკაშვილმა გამოიწვია. რად უნდა ამდენი გაშუქებები და ამდენი დევნა. გინდა მანქანაში ჩახტეს და ირბინოს და გინდაც ხეზე ავიდეს და იქიდან იყვიროს, გიჟი ვარ და ვყვირივარო. რა მნიშვნელობა აქვს ამას, რას აკეთებს სააკაშვილი და რატომ ენიჭება ამას ამხელა მნიშვნელობა. ყურადღების გადატანა ხდება ამაზე და არა სამართლებრივ მხარეზე, თუ რა დააშავა ამ კაცმა და როგორ უნდა აგოს პასუხი, ან ვინ უშლის იმას ხელს, რომ ეს კაცი წარდგეს სამართლიანი სასამართლოს წინაშე, რომ გავიგოთ, რა ჩაიდინა ამ კაცმა წლების განმავლობაში. ერთი მხრივ, სანამ მოვიდოდა ეს ძალა ხელისუფლებაში და იყო ოპოზიციაში, ძალიან ცალსახად ამბობდა ყოფილ ხელისუფლებაზე, რომ ის არის კრიმინალური, დამნაშავე და ჩადის დანაშაულებს, რომ ხელყოფილია სასამართლოს დამოუკიდებლობა, მედიის თავისუფლება და ასე შემდეგ. მეორე მხრივ კი მოვიდა ხელისუფლებაში, ზის ამ რეჟიმთან ოპოზიციის და დიალოგის რეჟიმში ესაუბრება. ეს რამდენად ადეკვატურია დღევანდელი უმრავლესობის მხრიდან, მე ეს უფრო მაინტერესებს, ვიდრე ის, თუ რას აკეთებს სააკაშვილი, რას გაჰკივის და სად დარბის. ჩვენ გვაინტერესებს, სამართლიანობა როგორ აღდგება, რა ეშველება სასამართლოს, რომელიც დღეს ისევ იმ უსამართლო კურსს აგრძელებს, რომელიც იყო სააკაშვილის დროს. არაფერი არ შეცვლილა ამ მიმართულებით. სამართლიანობის კუთხით არაფერი არ შეცვლილა. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

***– სწორედ ამიტომ ხომ არ ხდება ყურადღების გადატანა სხვა თემებზე, რომ ისინი ვერ ახერხებენ, აღადგინონ დაპირებული სამართლიანობა? ან რატომ ვერ ახერხებენ?***

– სწორედ ეს არის, რომ ვერ ახერხებენ თუ არ ახერხებენ. რა უნდა სასამართლოების შეცვლას? არაფერი! რომ მოვიდა სააკაშვილი, როგორ შეცვალა მოსამართლეები, არ იციან? რატომ არ თვლიან ისინი იმ მოსამართლეებს, რომლებიც პირდაპირი მნიშვნელობით, შეიძლება ითქვას, რომ არიან კრიმინალები. სხვა თუ არაფერი, ეს 190 პოლიტპატიმრის საქმე არის თუ არა კრიმინალი იმ მოსამართლეების მხრიდან, რომლებმაც დააკანონეს ეს უკანონო განაჩენები. არიან თუ არა ეს მოსამართლეები პასუხისგებაში მისაცემები. რატომ არ ხდება ამ პოლიტპატიმრების საქმეების გამოძიება. რატომ არ ხდება სიმართლის დადგენა, რატომ ხდება დამნაშავეებზე ხელის დაფარება?! ეს აბსოლუტურად გაუგებარი და მიუღებელია. სამაგიეროდ, ჩვენ ვუყურებთ, ცისფერ თუ ვარდისფერ მანქანაში ზის სააკაშვილი და აწყობს შოუს, ვითომ დაცვა არ ახლავს და ამ დროს გატენილია ქუჩის მეორე მხარე მაგისი დაცვის მანქანებით. ვის აინტერესებს ახლა ეს სისულელეები და მაგის სულელური ვოიაჟები, როდესაც ქვეყანა გაპარტახებულია, ხალხი დაზარალებულია, ღირსებაწართმეულია და ამ დროს გვაყურებინებენ, რა ფერის მანქანაში ზის სააკაშვილი თავის გადაპრანჭულ ცოლთან ერთად. ვის აინტერესებს ეს! ხალხს აინტერესებს სამართლიანობის აღდგენა. დიდი ამბავი, დაცვა იცავს თუ არა სააკაშვილს. ვის აინტერესებს, სააკაშვილი დაცულია თუ დაუცველი! ეს არის საინტერესო თუ ის, დადგინდეს ბუტა რობაქიძის მკვლელები?! თუ ის არის საინტერესო, გირგვლიანის ოჯახი რომ ამოწყვიტა სააკაშვილის რეჟიმმა, რა ბედი ეწევა ამ საქმეს და როგორ მოხდება მისი გამოძიება, ან რა ხდება იმ ჩამორთმეულ ქონებაზე, რომელიც ასე უსამართლოდ და დაუსაბუთებლად ჩამოართვეს ხალხს. ან რა ხდება იმ მონოპოლიაზე, რომელიც დღეს არის ქვეყანაში ბიზნესის თვალსაზრისით და დღეს არანაირი ბიზნესი არ კეთდება, იმიტომ რომ ისევ სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელშია ეს ყველაფერი. აი, ეს აინტერესებს ხალხს და არა ის, რა ფერის მანქანაში ზის სააკაშვილი. რატომ ქმნიან ხელოვნურად ამ ოპოზიციას?! რატომ ქმნიან ხელოვნურად, რომ თითქოს ვიღაცა არის სააკაშვილი? ის არის კრიმინალი, რომელიც უნდა იჯდეს ციხეში. ხელისუფლებას პასუხი აქვს გასაცემი ერთადერთ კითხვაზე: რატომ არ ზის სააკაშვილი ციხეში და რატომ არ იხდის სასჯელს?! აი, ამაზე გაგვცენ პასუხი.

***– რატომ იწელება ეს პროცესი?***

– ალბათ, იმიტომ, რომ საზოგადოება არის ძალიან იმედიანად და ფიქრობს, რომ ახალი ხელისუფლება ამას გააკეთებს. ახალი ხელისუფლებაც ფიქრობს, რომ ხალხიც ითმენს და მოდი, ჩვენც რა გვენაღვლება. რას ნიშნავს კოაბიტაცია? რა თანაარსებობაზეა ლაპარაკი! ბოროტებასთან თანაარსებობას გვიქადაგებენ, რომ შენ უნდა იყო კრიმინალებთან კოაბიტაციაში? რა მიდგომებია ეს, რა პოლიტიკაა?! რომელ ქვეყანაში გაუგიათ, რომ მაფიასთან და კრიმინალთან მომავალი ხელისუფლება თანამშრომლობდეს. თუ მაფია და ბოროტებაა, დაარქვან, რომ ბოროტებაა, თუ უგონებდნენ და ცილისწამება იყო, მაშინ თქვით, რომ ცილისწამებაა. თუ ეს ყველაფერი იყო, რაზეც ჩვენ და ეს ხელისუფლებაც საუბრობდა, მაშინ რა თანაარსებობაზეა ლაპარაკი?! თუ ესენი არ არიან კრიმინალები, მაშინ არც ისინი უნდა ისხდნენ დღეს ციხეებში, ვინც სხედან. თუკი ეს ადამიანები უნდა იყვნენ გარეთ, რომლებმაც მილიონები მიიტაცეს, ხალხი ჩახოცეს, ბიზნესები აქვთ მონოპოლიზებული, მაშინ დანარჩენებმა რა დააშავეს?! ეს აბსოლუტურად ალოგიკურია. აი, ასეთი საკითხების განხილვა უნდა ხდებოდეს.

***– არა აქვს ახალ ხელისუფლებას იმის ბერკეტები, რომ სასამართლო რეფორმა გაატაროს?***

– როგორ არა აქვს. როგორ შეცვალა სააკაშვილმა მოსამართლეები, არ იციან? გადაარქვა სახელები სასამართლოებს და მოხდა რეორგანიზაცია და დაინიშნა ახალი მოსამართლეები. არ იციან, როგორც გააკეთა? ადგნენ და ზუსტად იმავე მეთოდებით გააკეთონ, რა, არ შეუძლიათ?! მგონია, რომ სურვილი არ არის ამისი, თორემ განა შესაძლებლობები არ არის.

# საქართველოში თავისუფალი სასამართლო არ არის

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ მოსამართლე ოთარ ბენიძესთან

***— ბატონო ოთარ, სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას არ სმენია და არ იცის, რა არის კონსტიტუციური დიქტატურა. მან ჩამოთვალა უნივერსიტეტების მთელი წყება, რომელშიც, მე მგონი, ორ-ორ თვიანი კურსები გაიარა და კონსტიტუციურ დიქტატურაზე თურმე არაფერი უთქვამთ. თქვენ, როგორც კონსტიტუციონალისტი, რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

— ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც დიქტატორული რეჟიმები არსებობს, კონსტიტუციით არის გაფორმებული. ამიტომ, რბილად რომ ვთქვათ, ვერ დავეთანხმები სააკაშვილის ცოდნას კონსტიტუციურ სამართალში.

***— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი რატომ იმასხარავებს თავს? ხომ აშკარაა, თუკი კონსტიტუციით გაქვს დიქტატორის უფლებები მონიჭებული, ფაქტობრივად, თუნდაც მსგავსი პრეცედენტი არ არსებობდეს, შენ ხარ კონსტიტუციური დიქტატორი. თუმცა, ვიცი, რომ მსოფლიოში სხვაგანაც არსებობს მსგავსი პრეცედენტები.***

— საქმე ისაა, რომ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი კონსტიტუციით გამაგრდა 2004 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით. ეს ცნობილი ფაქტია. ჩემი აზრით, ის ცვლილება, რომელიც შეტანილი იქნა კონსტიტუციაში, სრულიად არალეგიტიმურად იყო პარლამენტის მიერ განხორციელებული. სამწუხაროდ, აღნიშნული პრეცედენტი ჩვენთან გამეორდა.

***— მე მგონი, იურიდიური განათლებაც არ სჭირდება იმის გაგებას, თუკი კონსტიტუციით დიქტატორის უფლებები გაქვს მონიჭებული, ე.ი. კონსტიტუციით დიქტატორი ხარ, ქვეყანაში კონსტიტუციური დიქტატურაა დამყარებული.***

— მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ქვეყნები, სადაც ავტორიტარული დიქტატორული რეჟიმებია. ყველა სახელმწიფოს გააჩნია თავისი ძირითადი კანონი, ანუ კონსტიტუცია და კონსტიტუციურად არის გამაგრებული ის რეჟიმი, რომელიც არსებობს. ასეთი რეჟიმებია ლათინურ ამერიკაში, აფრიკის კონტინენტზე. ასე რომ, ვერ დავეთანხმები მიხეილ სააკაშვილს და მის ცოდნას კონსტიტუციურ სამართალში.

***— საერთოდ, როგორც ჩანს, სააკაშვილი სამართალში ცოდნითაც მოიკოჭლებს.***

— ეს საკმაოდ დიდი და რთული საკითხია.

***— ბატონო ოთარ, კიდევ ერთ საკითხთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ აზრი. გახმოვანდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება უცხოელებზე მიწის გაყიდვის თაობაზე. თუ იცით რაიმე ამის თაობაზე?***

— არა, არ გამიგია. მე შემიძლია კონკრეტულად გადავამოწმო, იქ ჩემი ყოფილი თანამშრომლები მუშაობენ, მაგრამ ჩვენთან მიწა იყიდება და რა პრობლემაა?

***— საუბარია ჩვენი მიწების უცხოელებისთვის მიყიდვაზე. შეიძლება საქართველოში უცხოელებზე მიწების ნებართვა იყოს?***

— უცხო ქვეყნის მოქალაქეებს იგივე უფლებები გააჩნიათ ჩვენს ქვეყანაში, როგორც ჩვენს მოქალაქეებს. ეს კონსტიტუციითაა გამაგრებული და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველოში შეიძინონ უძრავი და მოძრავი ქონება. კონსტიტუცური დებულებაა ასეთი. უცხო ქვეყნის მოქალაქეები თანაბარი არიან თავის უფლებებში ჩვენს მოქალაქეებთან, გარდა პოლიტიკური საქმიანობისა.

***— ეს იმიტომ გკითხეთ, ითქვა, უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღოო.***

— სიმართლე გითხრათ, საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობას თვალს აღარ ვადევნებ. ინფორმაციაც საკმაოდ მწირია და მისი საქმიანობის გასაჯაროება არ ხდება ისე, როგორც ჩვენ დროს იყო.

***— მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში გადაიტანეს და ჩვენთვის მიუწვდომელი გახდა.***

— გადაწყვეტილებები მაინც საჯარო უნდა იყოს, რადგან ეს ეხება ქვეყნის ძირითად კანონს და ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის მასთან შესაბამისობას.

***— კახეთის რეგიონში დაფიქსირდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან მიწების მასობრივი შესყიდვის ფაქტები. ამან შეაწუხა ამ კუთხის მოსახლეობა და საზოგადოება. თან ითქვა, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაა, ხელისუფლებას შეცვლა არ შეუძლიაო.***

— ეს იმიტომ ითქვა, რომ ჩვენი კონსტიტუციით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს იგივე უფლებები გააჩნია (გარდა პოლიტიკური საქმიანობისა), როგორც საქართველოს მოქალაქეს. განსაკუთრებით, უძრავი და მოძრავი ქონების შეძენის საკითხში.

***— ანუ თუ ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვას გადაწყვეტს სახელმწიფო, კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილებები?***

— რა თქმა უნდა, ეს საჭიროებს კონსტიტუციაში ცვლილებებს. მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ის, თუ როგორ შეიძლება ამ საკითხის მოწესრიგება სხვაგვარად.

***— როგორ?***

— მოკლედ ამაზე საუბარი რთულია.

***— ყველა უბედურების დანერგვა სააკაშვილის რეჟიმის პირობებში გახდა შესაძლებელი.***

— ჩვენ გასაცემი აღარაფერი გვაქვს. პირიქით, დაკარგული გვაქვს ჩვენი ტერიტორიების 20%. ისედაც საქართველოს მიწის დიდი ფართობი არ უჭირავს და ისიც რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მივყიდოთ, რაღა დაგვრჩება.

***— მოგეხსენებათ, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში ტელევიზიებით გადის რეკლამები, რომ საქართველოში გაცილებით იაფად იყიდება მიწა, ვიდრე ის მათ ქვეყანაში ღირს. უცხოელებს მოუწოდებენ, ჩამოვიდნენ და შეისყიდონ ჩვენი მიწები. მგონი, ცოტა ხანში უმიწოდ დავრჩებით.***

— ჩემი აზრით, შეიძლება მიწა უნდა გაიყიდოს, მაგრამ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს.

***— უცხოელებთან ვაჭრობის საგნად არ უნდა იქცეს, ალბათ.***

— არ უნდა იქცეს, რა თქმა უნდა. პირველ რიგში, ეს საკითხი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა წყდებოდეს. ჩვენთან მიწას იმხელა ფასი უნდა ჰქონდეს, რომ უცხოელებს შეძენის ხასიათიც არ ჰქონდეთ.

***— პრეზიდენტს ვადა გაუვიდა, ის ისევ რჩება ამ პოსტზე. სამაგიეროდ, საუბარია მისთვის დიქტატორული უფლებამოსილების შეკვეცაზე. პრემიერის მიმართვაზე, თქვას, არის თუ არა კონსტიტუციური დიქტატურის მომხრე, მან პრეტენზიები აქეთ გამოთქვა. ნაციონალური მოძრაობა არის ის ძალა, რომელიც ახლა პრეტენზიებს აქეთ უნდა აყენებდეს?***

— არა, მაგრამ, საერთოდ, ნაციონალურ მოძრაობას ისეთი ტაქტიკა აქვს არჩეული, როგორიცაა, გაღმა შეედავე და გამოღმა დაგრჩებაო. ისინი თავის ჩვევას არ ღალატობენ. ამიტომ სხვა არჩევანი არ არის, რომ ის ცვლილებები უნდა შევიდეს კონსტიტუციაში, რომელიც პარლამენტს აქვს დაგეგმილი. საერთოდ, მომხრე ვარ იმისა, რომ ჩვენი კონსტიტუცია გადაისინჯოს. საკმაოდ ბევრი პრობლემაა კონსტიტუციასთან და, საერთოდ, სახელმწიფოს მოწყობასთან დაკავშირებით. 20 წელია დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და საქართველოს მოწყობის საკითხი არ არის გადაწყვეტილი. ეს არის თავი და თავი იმ უბედურებისა, რაც სჭირს ქვეყანას. მანამ ეს საკითხი არ გადაწყდება, ტყუილი მცდელობაა სახელმწიფოს მშენებლობისა. სახელმწიფო უნდა იყოს მოწყობილი. დღეს



ვერავინ მეტყვის, საქართველო, როგორც სახელმწიფო, რა მოწყობისაა. კონსტიტუციურად ეს არ არის გადაწყვეტილი. იყო საუბრები, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ აფხაზებთან ერთად გადავწყვეტთ. ეს ყველაფერი პირველივე დღიდან იყო მხოლოდ და მხოლოდ სპეკულაცია. ნებისმიერ ხელისუფლებას, რომელიც მოვიდოდა ქვეყნის სათავეში, შეეძლო და ახორციელებდა კიდეც კონსტიტუციაში ცვლილებებს (დღევანდელ დღემდე ასე იყო). ახორციელებდნენ, როგორც მმართველობის ფორმის შეცვლას, ისე შედიოდა ყოველდღიური ცვლილებები კონსტიტუციაში. ვისაც როგორ უნდა, ისე შეაქვს ცვლილებები ძირითად კანონში. როდესაც საძირკველი იქნება ჩაყრილი, ძირითად კანონში, ასე წარამარა ცვლილებების შეტანის საშუალებას შექმნილი სისტემა არ მისცემს. ამიტომ ეს საკითხი სასწრაფოდ მოსაგვარებელია. ჩვენ ჩვენი პოზიცია ვაჩვენოთ აფხაზებსა და ოსებს, რა აზრი გაგვაჩნია სახელმწიფოს მოწყობასთან დაკავშირებით. ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეებიც აღარ მოგვცემენ შენიშვნას, რომ ეს საკითხი მოსაგვარებელია. მათთან ეს საუკუნეების წინ გადაწყდა. სანამ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი არ გადაწყდება, მანამ სახელმწიფო მუდმივ კრიზისში იქნება.

***— ბატონო ოთარ, მუდმივი საუბარია იმაზე, რომ სანამ სააკაშვილს არ შეეკვეცება დიქტატორის უფლებები, მანამ არსებობს საშიშროება, რომ შეიძლება მან მთავრობა და პარლამენტი დაითხოვოს. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

— სააკაშვილმა განაცხადა, რომ ახლა არ გააჩნია იმის განწყობა, რომ მიიღოს ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება და მთავრობა დაითხოვოს. მხოლოდ მიამიტ ხალხს ჰგონია, რომ სააკაშვილი გულწრფელია.

***— რამდენად შეიძლება სააკაშვილის დაჯერება და რამდენად პროგნოზირებადია ეს პიროვნება?***

— ძალიან რთულ კითხვებს მისვამთ.

***— სასამართლო რეფორმის თაობაზე რა აზრით ხართ?***

— არ შეიძლება სასამართლო ხელისუფლება 15 წლის მანძილზე (1997-98 წლებში დაიწყეს სასამართლოს რეფორმირება) მუდმივი რეფორმირების სტადიაში იყოს. სასამართლო კონსერვატიულ და სტაბილურ ხელისუფლებას უნდა წარმოადგენდეს. ამას კარგი არაფერი მოაქვს და არც მოგვიტანა. თქვენ კარგად გახსოვთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის შემდეგ ჩემი კოლეგების ფიტულები დაწვეს. ჩვენ რეფორმების წინააღმდეგი არ ვიყავით, მაგრამ ამ მიზეზით მოსამართლეებს არ უნდა შეწყვეტოდათ უფლებამოსილება, მაგრამ ყველაფერი პირიქით გაკეთდა.

***— სააკაშვილს აღარ ახსოვს ახლა, 1997 წელს მოსამართლეთა მთელი კორპუსი რომ გაათავისუფლა. საკონსტიტუციო სასამართლომ რომ აღადგინა და შემდეგ მის წინააღმდეგ გაილაშქრა.***

— სხვათა შორის, მე ვიყავი იმის მომსწრე, რომ იმ მოსამართლეებს საჯაროდ ბოდიში მოუხადა. ბათუმში ერთ-ერთი კონფერენციის დროს თქვა, მართალი არ ვიყავიო.

***— შეიძლება, მაგრამ როცა პრეზიდენტი გახდა, მან ახლა უკვე იმ რეფორმირებული სასამართლოს მოსამართლეები დაითხოვა ასევე რეფორმის მოტივით და მოსამართლეთა კორპუსი რეზერვში გადაიყვანა. შემდეგ მათ ადგილზე ახლები დანიშნა.***

— საერთოდ, ნებისმიერ პოლიტიკოსს, რომელიც ფიქრობს თავისი ქვეყნის რეალურ განვითარებაზე, აუცილებლად უნდა უნდოდეს, სასამართლო ხელისუფლება რეალურად დამოუკიდებელი იყოს. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის შეიძლება წარმოიშვას სადავო საკითხები, კრიზისიც, მაგრამ ყოველთვის აბალანსებს მესამე ხელისუფლება, ანუ სასამართლო ხელისუფლება. ამიტომ, მთავარია, სასამართლო ხელისუფლება ჭეშმარიტად, რეალურად (და არა ფორმალურად) იყოს დამოუკიდებელი. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ წავა ქვეყანა წინ.

***— თქვენი შეფასებით, დღეს როგორ მდგომარეობაშია სასამართლო ხელისუფლება, რეალურად დამოუკიდებელი არის?***

— დღეს სასამართლო ხელისუფლება ფორმალურად დამოუკიდებელია, რეალურად — არა.

# გასულ წელს საზღვარგარეთ ერთი ბავშვი გაშვილდა

მერი ნამორაძე

**უშვილობა ქართული წყვილებისათვის დღემდე სერიოზულ პრობლემად რჩება. მშვილებელი ოჯახები, რომლებიც მემკვიდრის აყვანას ცდილობენ, აქცენტს ჯანმრთელ ბავშვზე აკეთებენ. როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს უფროსი ეთერ ცხაკაია ამბობს, დღეისათვის 2.600 ადამიანია შვილის ამყვანთა რიგში რეესტრში. საერთაშორისო გაშვილების დროს კი ბავშვი მხოლოდ იმ შემთხვევაში შვილდება, თუ რვა თვის განმავლობაში ბავშვის გაშვილება არ მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე.**

ეთერ ცხაკაია:

— ჯანმრთელი ბავშვები უპრობლემოდ შვილდებიან და მოთხოვნაც მათზეა. რჩებიან მხოლოდ ის ბავშვები, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის მატარებელნი არიან.

***— ქალბატონო ეთერ, რა შემთხვევაში ხდება საზღვარგარეთ ბავშვის გაშვილება?***

— საერთაშორისო მშვილებლებს შეეთავაზებათ ის ბავშვები, რომლებიც საქარათველოს ტერიტორიაზე ვერ გაშვილდნენ რვა თვის განმავლობაში და ასეთი ბავშვები ძირითადად არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი.

***— 2012 წელს რამდენი ბავშვი გაშვილდა საზღვარგარეთ?***

— შემიძლია გითხრათ სტატისტიკა 2009 წლიდან, რაც სააგენტოში გადმოვიდა ბავშვზე ზრუნვის კომპონენტი. 2009 წელს ერთი ბავშვი გაშვილდა, 2010 წელს – 3; 2011 წელს საზღვარგარეთ გაშვილების არც ერთი შემთხვევა არ გვქონდა, 2012 წელს გაშვილდა ერთი ბავშვი.

***— როგორც ჩანს, უცხოეთშიც იკლო მოთხოვნამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე?***

— მოთხოვნა ნაკლები იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე და აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო მშვილებლებსაც ძირითადად ჯანმრთელი ბავშვები უნდათ. წინა წლების სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ დიდი რაოდენობით ბავშვები შვილდებოდნენ საზღვარგარეთ და მითი იმის შესახებ, რომ უცხოელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები უნდათ, დაიმსხვრა. ჩვენი სტატისტიკიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად მიმდინარეობს შეთავაზების პროცესი, მაინც მშვილებელთა მსურველები ნაკლებად არიან.

***— დღეისათვის რამდენი უნარშეზღუდული ბავშვი ელოდება მშვილებელს?***

— ამ ეტაპზე 39 ბავშვია, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო გაშვილებას.

***— საზღვარგარეთ გაშვილებულის ბედით შემდგომშიც ინტერესდება ბავშვზე ზრუნვის სააგენტო?***

— დიახ. საერთაშორისო გაშვილების შემთხვევაში, განსხვავებით ქვეყნის შიდა გაშვილებისა, კანონით გათვალისწინებულია მონიტორინგი. შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც საერთაშორისო მშვილებელს აძლევენ დასკვნას, რომ მათ შეუძლიათ აიყვანონ ბავშვი შვილად, წელიწადში ერთხელ გვიგზავნიან ანგარიშს იმის თაობაზე, თუ როგორ არის ბავშვი, როგორ ვითარდება და ასე შემდეგ.

***— მინდობით აღზრდაში რამდენად აქტიურად ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების გაყვანა?***

— სახელმწიფო ამ შემთხვევაში ყველა ბავშვს სთავაზობს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვს, რომ აღიზარდოს ოჯახურ გარემოში. გაცილებით უკეთესია ოჯახური გარემო ბავშვისათვის, რადგან ინდივიდუალურად ზრუნავენ მიმღები მშობლები ამ ბავშვებზე, გათვალისწინებულია მათი ინდივიდუალური საჭიროებები, სპეციალურად გადამზადებული ოჯახები გვყავს, რომლებიც თანახმანი არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები აიყვანონ მინდობით აღზრდაში. სახელმწიფო ამას აანაზღაურებს თვეში 600 ლარის ოდენობით. არის კიდევ დამხმარე სერვისები, რომელიც მშობელსაც და ბავშვსაც ეხმარება.

დღეისათვის 91 ბავშვია მინდობით აღზრდაში და მერწმუნეთ, ამ ბავშვებმა თავისი განვითარების მაქსიმუმს მიაღწიეს და ეს გაცილებით უკეთესი მომსახურებაა, ვიდრე დიდი ზომის ბავშვთა სახლი.

***— ჯანმრთელი ბავშვის მინდობით ოჯახში განთავსებისას, რა თანხას იღებს მშობელი?***

— ორი ტიპის მიდობით აღზრდა გვაქვს – ნათესაური და არანათესაური. ნათესაურ მინდობით აღზრდაში ჯანმრთელი ბავშვების ანაზღაურება არის თვეში 200 ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის 300 ლარი. არანათესაურ ოჯახში მინდობით აღზრდაში ჯანმრთელი ბავშვის შემთხვევაში – 450 ლარი; უნარშეზღუდული ბავშვის შემთხვევაში – 600 ლარი.

***— საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობდა, რომ ჯობდა სოციალურად დაუცველ დედას, რომელმაც სიდუხჭირის გამო დატოვა შვილი ბავშვთა სახლში, იგივე თანხა, ანუ 450 ლარი მიეღო და თავად აღეზარდა შვილი, ვიდრე უცხო ოჯახში მოხვედრილიყო ბავშვი. რას გვეტყვით ამის შესახებ?***

— მე მესმის, მაგრამ ესენი არიან მიმღები ოჯახები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არიან დაქირავებულნი და რა თქმა უნდა, ამ ანაზღაურებაში მოიაზრება მათი შრომის ანაზღაურება, რადგან ისინი ზრდიან და უვლიან სხვის შვილებს. რაც შეეხება ბიოლოგიურ დედას, კანონიერ წარმომადგენელს, იგი ვალდებულია შვილს მოუაროს, ამიტომ იქნება ეს თანხები განსხვავებული. მეორე – სამწუხარო ის არის, რომ ასეთი ბავშვების დიდ პროცენტს მშობელი არ ჰყავს, ვინაიდან მათ უარი განაცხადეს შვილებზე ბავშვების შეზღუდული შესაძლებლობების გამო.

# თემურ შაშიაშვილი: „სააკაშვილი ქვეყანას დიდ უბედურებას მოუტანს“

შორენა კოწოწაშვილი



**რატომ არის სააკაშვილის ინტერესებში ქვეყანაში დაპირისპირების გაღრმავება და რატომ უნდა გამოიჩინოს მეტი ყურადღება „ქართულმა ოცნებამ“ სამართლიანობის აღდგენის პროცესში სააკაშვილის მაღალჩინოსნების კორუფციული დანაშაულის გამოკვეთით? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილთან.**

***— ბატონო თემურ, ფაქტია, საკონსტიტუციო რეფორმის პარალელურად, საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ფონი შეიქმნა ქვეყანაში. სადამდე ელით ვითარების გამწვავებას?***

— დავიწყებ იმით, რომ კატასტროფული სიჩქარით მივექანებით დიდი სამოქალაქო დაპირისპირებისკენ. ვინც იცის სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ბუნება და გაანალიზებული აქვს, რა 9 წელი ადევთ მათ ბეჭებზე, ხვდებიან, რომ დღეს მათ მიმართ ყოველგვარი დათმობა კატასტროფულია ქვეყნისათვის. ამიტომ ვამბობ, დიდი სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე ვდგავართ-მეთქი. ამის შედეგი იქნება ნაციონალური მოძრაობის დასასრული, მაგრამ სააკაშვილი შეიძლება დარჩეს მოგებული — ის ქვეყნიდან გაიქცევა, როგორც მოქმედი პრეზიდენტი. აი, ეს არის ერთი დიდი საშიშროება, რომელიც კონსტიტუციასთან არის დაკავშირებული. ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტის რანგშია, ამ ქვეყანაში მშვიდობა არ იქნება და ვიდრე სააკაშვილის მიმართ არის ლოიალური დამოკიდებულება, ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამას აკეთებს, ქვეყანას მძიმე მდგომარეობაში აგდებს. საზოგადოებაში ძალიან დიდი ზიზღია მათ მიმართ დაგროვილი. ნაციონალებში არიან ცალკეული პიროვნებები, რომელთა გამოჩენას საზოგადოებაში ძალიან დიდი დაპირისპირება შეიძლება მოჰყვეს. ეს სააკაშვილს აწყობს, რათა მთელ მსოფლიოს, პოლიტიკურ ოპონენტებს აჩვენოს, როგორ დასდევენ. ეს არ არის დევნა. ეს არის 9 წლის მანძილზე დაგროვილი ზიზღის მოქმედებაში მოყვანის სტიმული ნაციონალების მხრიდან. ოჯახის წევრები არ აპატიებენ ერთმანეთს შორის ისეთ საუბარს, როგორც სააკაშვილი ზუგდიდში ლაპარაკობდა მთავრობაზე, მთავრობის წევრებზე. 5 თვეა, ხელფასები არ გაცემულა და ამბობს, 2 თვეა, არ გაცემულაო, იმიტომ რომ, 5 თვე რომ თქვას, მასაც ეხება. სიტყვები „პროფესიონალი მატყუარა“, რომელიც სააკაშვილთან მიმართებით დამკვიდრდა, სრულად ვერ ასახავს მის პიროვნებას. გებელსსაც რომ შეშურდებოდა, ისეთი ზეპროფესიონალი მატყუარაა სააკაშვილი უბრალო მატყუარა კი არაა, ეს არის დემაგოგი და თან არა უბრალო დემაგოგი — სოციალური დემაგოგი. ნახეთ, როგორ თქვა, არ აშენებენ, კარგი, მაგრამ ხელფასები მაინც დაარიგონო. ვის სჭირდება ის, რაც ააშენეს?! 80% არავის სჭირდება. ხალხს ეუბნებიან ბათუმში, თქვენი ბიუჯეტი მცირდება. 400-500 მლნ იყო ჩადებული შადრევნების, ანბანის კოშკისა და წარმოუდგენელი რაღაცების ასაშენებლად, რომლის მომსახურებაც ძალიან ძვირი ჯდება. ასეთი ფუფუნების უფლებას პარიზი, ბერლინი ვერ აძლევენ საკუთარ თავს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენ საქმე გვაქვს ზეპროფესიონალ მატყუარასთან. ქვეყნის გარეთ გაჭირდება მეორე ასეთი სოციალური დემაგოგის მოძებნა. მე ვახსენე ორი ტერმინი — მატყუარა და დემაგოგი. კაცობრიობის ისტორია ებრძვის სწორედ მატყუარასა და დემაგოგს. ნებისმიერი ფილოსოფოსი ამბობს, რომ კაცობრიობისთვის საშიშია და მიუღებელი მატყუარა. სააკაშვილი არის სოციალური დემაგოგი. სოციალური დემაგოგიით მან დააბრმავა საქართველო. უფრო მეტს გეტყვით: ძალიან სერიოზული ექსპერტები ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით უკვე დიდი ხანია ამბობენ, რომ 21-ე საუკუნეში ტერორიზმის სხვა საფრთხე ჩამოყალიბდა — დემაგოგი და დემაგოგია. უფრო დიდი საფრთხე მსოფლიოსთვის დღეს არ არსებობს, ვიდრე დემაგოგია და სოციალური დემაგოგიაა. სააკაშვილი ეს არის. ჩვენ, სამწუხაროდ, ამ ჭრილში არ ვაფასებთ სააკაშვილს. ჩვენ ქვეყნის სათავეში გვყავს კაცი, რომელიც აღარ არის პრეზიდენტი და ამას მაინც თავის თავს უწოდებს. ბიძინა ივანიშვილმა მას უკვე პროფესიონალი მატყუარა უწოდა. უცხოეთში უკვე ყველა ამას ლაპარაკობს, თუმცა, მაინც გვეუბნებიან, ვიცით, მაგრამ ნოემბრამდე ვაცალოთო.

***— რატომ იჩენს ლმობიერებას ხელისუფლება ნაციონალების მიმართ და რამდენად არის ამის მიზეზი ის, რომ უცხოელები აფიქსირებენ, საქართველოში დემოკრატიის ხარისხმა იკლოო?***

— საქართველოს ჰყავს გარეთ მტერი, რომელიც სააკაშვილს დემოკრატად თვლის. ვინც სააკაშვილს დემოკრატად თვლის, ვფიქრობ, ქართველებმა ისინი ქვეყნის მეგობრებად არ უნდა მივიჩნიოთ. რაც დღეს ხდება, იმ დიდი შიშის შედეგია, რომელშიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო. ამ მდგომარეობიდან რომ გამოვიდა, მოუთმენლობა დაემართა ხალხს. მოუთმენლობა საქართველოში იქცა ავადმყოფობად, იმიტომ რომ 9 წლის მოთმინებამ მოუთმენლობის ავადმყოფობა დაგვმართა. კიდევ ერთხელ მოკლედ გპასუხობთ: ვინც სააკაშვილს თვლის დემოკრატად, ვინც თვლის, რომ საქართველოში დემოკრატიაა, ის არათუ საქართველოს მეგობარია, არამედ ის არის ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტერი. რუსეთს აწყობს საქართველოს სათავეში ასეთი პიროვნება, რადგან ის ხედავს, რომ ისეთი მტრობა არავის გაუკეთებია ქართული სახელმწიფოსთვის, როგორიც სააკაშვილმა გააკეთა. რუსეთთან დაკავშირებით გეტყვით: ამ რამდენიმე ხნის წინ სააკაშვილმა თქვა, რუსეთში შურთ საქართველოსი. რუსეთის ტელევიზიებმა შექმნეს სააკაშვილი, როგორც რეფორმატორი, არნახული პოლიციის შემქმნელი, საქართველოში სოციალური პრობლემების მომგვარებელი და ა.შ. რამდენიმე რუს ექსპერტთან მქონდა ამას წინათ საუბარი, რომლებიც სააკაშვილის მომხრეები არიან და მითხრეს, თქვენთან კარგი მდგომარეობააო. ვუთხარი, რომ თქვენთან ბევრად იაფია კვების პროდუქტები, ენერგეტიკული პროდუქტები — გაზი, დენი, კომუნალური გადასახადები ან ყველაფერი, რაშიც ადამიანი ფულს ჯიბიდან იღებს. ამბობენ, რომ რუსეთში არსებული მდგომარეობა არ მოსწონთ, მაგრამ ჯანდაცვა არის უფასო, განათლება არის უფასო, პენსიონერისთვის ყველანაირი საქალაქო ტრანსპორტი არის უფასო. პენსიონერების კომუნალური გადასახადები, პრაქტიკულად, განულებულია. გავოცდი. გამოვიდა, რომ ჩვენთან სამჯერ ძვირი ღირს ცხოვრება, ყველაფრის გათვალისწინებით, ვიდრე რუსეთში და რუსეთში პენსია 600 დოლარია ანუ 1000 ლარი. მეშახტის ხელფასი იქ 5 000 დოლარია. ნახეთ, ტყიბულში რა ხდება. ხომ შეიძლება, პუტინმა რეალობა აჩვენოს თავის მოქალაქეებს, რა ხდება საქართველოში და სააკაშვილის ტყუილი პიარი რუსულ ტელევიზიებში ამით გააბათილოს. მაგრამ რატომ არ აკეთებს ამას იმ კაცის მიმართ, რომელიც ასეთი უშვერი სიტყვებით იხსენიებს მას? იმიტომ რომ მისი მმართველობა აწყობს. დღეს მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ სააკაშვილი წარმოუდგენელი მატყუარა და დემაგოგია. ამერიკას აწყობს სააკაშვილი, რადგან მისი პროექტია და არ უნდა აღიაროს, რომ ეს პროექტი ჩავარდა, რუსეთს კი აწყობს სააკაშვილი, რადგან ის საქართველოს ანგრევს ანუ ორივე ეს ქვეყანა საქართველოს მტერია. გამოფხიზლდით, ქართველებო! ამერიკაც და რუსეთიც სააკაშვილს იმისთვის იყენებენ, რომ საქართველომ დაიჩოქოს და წაიქცეს. დადგა დრო, როცა საქართველომ დროებით უცხოეთს აღარ უნდა მოუსმინოს და ჩვენი ქვეყანა თავად ვმართოთ. აღარ მინდა უკვე ამერიკის ელჩების კარნახი, არც რუსეთის ასეთი ჩასაფრება. ამას წინათ ვიღაცამ მითხრა, ამერიკამ სთხოვა ივანიშვილს ჩიორა თაქთაქიშვილისა და სხვების დაცვა. ასე იცის ამერიკამ, აირჩევს თავის სასურველ ხუთეულს და იმას იცავს. ახლა აღარ ფიქრობენ მიშა მაჭავარიანზე, გიგი წერეთელზე და სხვებზე. ეს უკვე მათთვის განვლილი ეტაპია. ვიმეორებ, მე იმას ქვეყნის მეგობარს არ ვუწოდებ, ვინც სააკაშვილს დემოკრატად თვლის და ფიქრობს, რომ ის პრეზიდენტად კიდევ 10 თვე უნდა იყოს.

***— ხელისუფლების ლმობიერება ნაციონალების მიმართ პროკურატურის ქმედებებით გამოიხატება?***

— მთავარი პროკურორი არის ძალიან საინტერესო პიროვნება. მაგრამ მისი პრობლემა არის ის, რომ ის არის ადვოკატი და საქმე, რომელიც მივა სასამართლოში, ყველა იქნება ნაღდი, სწორი და ის თავის თავთან იქნება მართალი. საქართველოში პირველად მოხდა, რომ ადვოკატი მოვიდა პროკურორად. კბილაშვილი შინაგანი რწმენით არის ადვოკატი. ეს ქვეყნისთვის ძალიან კარგია. ეს ერთი, მეორე, რაც შეეხება პროკურატურას: სააკაშვილის ხელისუფლებას წარმოუდგენელი დანაშაულები აქვს ჩადენილი, მაგრამ ბევრი რამ აქვთ დაკანონებული. რატომ ითხოვს ახლაც სააკაშვილი ეკონომიკურ ამნისტიას? იმიტომ, რომ რაც აქვს, იმის დაკანონება უნდა. სააკაშვილის დედას რამდენიმე ათეული ობიექტი აქვს შესყიდული 1 ლარად. ამისთვის პასუხს კი ვერ მოსთხოვ, რადგან კანონით ეს შეიძლება. საქართველოში კანონით შეიძლება ის, რაც უცხოეთში გამორიცხულია. ნახეთ, გერმანიაში პრეზიდენტი გადააყენეს — თავის ნათესავს მიეხმარა, ოდნავ შეღავათიანი სესხი აღებინაო. სააკაშვილმა დედამისს ასი ობიექტი მისცა 1 ლარად და ეს კაცი გვეუბნება, პრეზიდენტი ვარო. აი, რასთან გვაქვს საქმე. ამ პრობლემას ვხედავ პროკურატურისთვის. ჩვენ თავის დროზე ღირსების ულტიმატუმი მივწერეთ. ვაპირებ, მთავარ პროკურორთან შევიდე და სარჩელით მივმართო. იცით, რომ ჩვენ ღირსების ულტიმატუმით მივმართეთ პრეზიდენტს და ვუთხარით, არის საკითხები, რომელიც კონსტიტუციის გარეთ გაყენებთ და, პრაქტიკულად, აღარ ხართ საქართველოს პრეზიდენტიო. ჩვენ 4 წლის წინ ვწერდით, რომ ექსპერტებს შეესწავლათ ფასები, რადგანაც ზედაპირულადაც ჩანდა, რომ ფასები ქვეყანაში ხელოვნურად იყო გაზრდილი. პასუხის ღირსიც არ გაგვხადა. კორუფციის წინააღმდეგ რომ იბრძვიან, ეს მასალები გამოადგებათ. ჩვენ ვწერდით, გახსენით ყველა ფონდი, რომლებიც 2003 წლიდან შეიქმნა. უნდა გაირკვეს, რა ფულები შევიდა და სად წავიდა. ძალიან ბევრ ფონდთან დაკავშირებული იყო მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. ვითხოვდით, საჯარო გამხდარიყო რაიონების მიხედვით იმ ობიექტების ნუსხა, რომლის რემონტზეც 50 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. არ უნდა პროკურატურას დიდი ლოდინი: სულ 5 ბაღი გაკეთდა თბილისში და შეისწავლოს, რა ფულები დაჯდა და რამდენი მოიხსნა. დღეს რომ გამოქვეყნდეს, რომელი ქუჩის გარემონტება, ფასადების შეღებვა, დედაენისა და ალექსანდროვის ბაღების რეკონსტრუქცია რა დაჯდა და ა.შ. გეუბნებით, ხალხი თავად გაასამართლებს სააკაშვილის ხელისუფლებას. მსგავსი კორუმპირებული პიროვნება, როგორიც თბილისის მერია, არ არსებობს. როგორც ამბობენ, მისმა მეუღლემ უცხოეთში რაღაც მოიპარა და ეს ფაქტი იცის ბევრმა. რა დაჯდა მისი მეუღლის მშობიარობა საზღვარგარეთ? პროკურატურის გასაგონად ვლაპარაკობ, ყველა ობიექტზე, რომელიც კეთდებოდა, დახარჯული თანხების 50% პარტიულ ინტერესებს ემსახურებოდა.

***— დაბოლოს, 8 თებერვლის მოვლენებს როგორ შეაფასებდით?***

— სააკაშვილის ინტერესებში არის მხოლოდ დაპირისპირება. მას არ აწყობს რაიმე პოზიციური, რაც შეიძლება ივანიშვილის მთავრობამ გააკეთოს. ამ სამი თვის განმავლობაში მთავრობამ იმდენი რამ გააკეთა, მარტო 100 მლნ კახეთში დახმარება გაიცა, სოფლის ბარათები რიგდება ხვნა-თესვისთვის. მოსახლეობისთვის ეს დიდი დახმარებაა. რაც უფრო პოზიტიურ ნაბიჯს დგამს ივანიშვილი ეკონომიკურად, მით უფრო უპირისპირდება სააკაშვილი პოლიტიკურად. რატომ? იმიტომ, რომ ორი სხვადასხვა იდეოლოგიის პიროვნება დაეჯახა ერთმანეთს. ერთი არის გონებაზე ორიენტირებული, მეორე — ემოციაზე. ივანიშვილს უნდა, გონება დააბრუნოს პოლიტიკასა და მართვაში, სააკაშვილისთვის ეს არის კატასტროფა. ამიტომ სააკაშვილს უნდა, საქართველო ისევ ემოციით მართოს. რით იგებს სააკაშვილი: ბიძინა ივანიშვილი არ აპიარებს იმას, რასაც აკეთებს. ეს არ უნდა თუ არ აწყობს, არ ვიცი. ეტყობა, ერიდება, რომ ხალხს უთხრას, რას აკეთებს. სააკაშვილი კი იმაზე ლაპარაკობს, რაც არ გაუკეთებია და იგებს. წარმოგიდგენიათ, სოფლებში 500-600-ლარიანი ბარათების დარიგება დაიწყო და ტელევიზიები დუმს. აქცენტი კი 8 თებერვალზეა. არ ვიცი, ნანა კაკაბაძე რას მიედ-მოედება. თუ კაკაბაძეს მართლა ჰქონდა მიწერილი წინა ხელისუფლებისთვის, რომ ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ ერთს, ათამდე კაცი შეუშვით პრეზიდენტთან შეხვედრაზე, ეს ნორმალური და სწორი პოზიციაა. ეს ათი კაცი რომ შეეშვათ, ხომ არაფერი მოხდებოდა? ნახეთ, სააკაშვილი როგორ წარმოაჩენს: თქვენ განსხვავებული აზრის მოსმენა არ გინდათო. არადა, თვითონ არ უნდოდა განსხვავებული აზრის მოსმენა და იმ ადამიანების შეშვება, რომლებიც მისმა ხელისუფლებამ აწამა. განსხვავებული აზრის არმოსმენას სააკაშვილი აქეთ აბრალებს ივანიშვილს. ნახეთ, სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ იყო, რასაც 26 მაისს ლაპარაკობდა, იმავეს იმეორებს ოპოზიციაში, ტერმინოლოგია კი არ შეუცვლია. ისევ აგენტები, ისევ კრიმინალები, მტრები. ერთი რამ მინდა გითხრათ: კიდევ დიდი ღირსება გააჩნია ხალხს, ამას რომ ითმენს. სააკაშვილის ინტერესებშია მხოლოდ დაპირისპირება.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ტატამს ოზურგეთში ნუ გადაიტანთ!“

გულიკო ბალაძე

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ ოზურგეთის რაიონის გამგებელსა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს აფრთხილებს, ნუ აიძულებენ სახანძრო სამსახურის თანამშრომლებს სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებების დაწერას.

— ოზურგეთის რაიონის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსიეშვილმა მის თანამშრომლებს უთხრა, დაეწერათ განცხადებები სამსახურიდან წასვლის თაობაზე. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ტენდენციად იქცა, რომ ადამიანებს სურთ, თანამდებობებზე დანიშნონ თავიანთი ახლობლები. ხშირად ამბობენ, ჩვენ ტყუილად ვიბრძოდითო. მოვუწოდებ, თანამშრომლებს ნუ აიძულებენ სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებების დაწერას, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ნიკოლოზ მჟავანაძემ.

— განცხადებას რომ დაწერენ, მერე უკვე სამართლებრივად ძალიან რთული იქნება, თავი აღიდგინონ. სასამართლო ეტყვის, შენ დაწერე განცხადება, ეტყობა, სხვაგან გინდოდა მუშაობის დაწყებაო. ამიტომ, სანამ ეს ფაქტი მომხდარა, ვაფრთხილებ. მე მითხრეს, განცხადება დავწეროთ თუ არა, ამის თაობაზე ზეპირი მითითებააო. მე ვუთხარი, არავითარ შემთხვევაში არ დაწეროთ განცხადებები და, თუ შემდგომში რაღაც პროცესი იქნება, აუცილებლად დამიკავშირდით-მეთქი. იქ დანიშნულია ახალი სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი რუსიეშვილი. მან თქვა, რა ვქნა, რა გავაკეთო, ასეთი დავალება მომცა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა კოტე შარაშენიძემო.

ოზურგეთში სახელმწიფო ინსტიტუტები ძალიან ნაკლებად არიან წარმოდგენილი. არაფერი არ მუშაობს. აღარც ბიზნესია განვითარებული. წვრილმანი ვაჭრობა და რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურაა — პოლიცია, სამაშველო სამსახური და გამგეობა. იქ მეტი არაფერი მუშაობს და იმ 15 ადამიანის უკან დგას 35 ადამიანი, ოჯახის წევრები. წარმოიდგინეთ, 50 კაცი ასეთი პატარა რაიონისთვის არც ისე მცირეა. ვფიქრობთ, ასეთი ქმედებები არ უნდა განხორციელდეს. ეს მაგალითი უნდა იყოს სხვებისთვისაც. მსგავსი ქმედებისთვის ადამიანი რომ დაისჯება, შემდეგ სხვები ველარ გაბედავენ.

ნიკოლოზ მჟავანაძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სამსახურიდან გასაშვები სხვები არიან.

— ჩვენ იმას ვუკიჟინებთ ხელისუფლებას, რომ გაუშვან დამნაშავე პროკურორები და პოლიციელები, რომლებმაც ხალხს სისხლი გაუშრეს. გამგეობებიდან ხალხის გაშვებას არ ვითხოვთ. ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ ეს ადამიანები გადარჩებიან და არ მოხვდებიან გათავისუფლების ტალღაში. პრობლემები ადრეც იყო ოზურგეთში. შარაშენიძემ მაშინაც თქვა, ის ადამიანი არ გამილახავს და ჩემზე ზეწოლააო. ამიტომ, არ გამიკვირდება, გამოვიდეს და თქვას, ჩემზე ზეწოლა ხდებაო, — აღნიშნავს ნიკოლოზ მჟავანაძე.

***— ბატონო ნიკოლოზ, ზოგადად, გარკვეულწილად, მართალი არ არიან ის ადამიანები, რომლებიც არჩევნების წინა პერიოდში ყველანაირი ზეწოლის ქვეშ იყვნენ და ახლა დასაქმებას ითხოვენ?***

— გასაგებია, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს სხვისი უბედურების ხარჯზე. ჩვენ გათავისუფლებასა და ცვლილებებს ვითხოვთ პროკურატურასა და პოლიციაში, სადაც დამნაშავეები არიან მოკალათებული. ხელისუფლება მხოლოდ მათი გათავისუფლებით არ უნდა შემოიფარგლოს, მაგრამ, წარმოიდგინეთ 15 ადამიანის ბედი, რომელთა უკან დგას ოჯახები და ეუბნებიან, წადიო.

***— მიზეზად რა მოჰყავთ?***

— არაფერი. ეუბნებიან, განცხადებები დაწერეთო. მე დამირეკეს და მკითხეს, ასეთი განცხადებები დავწეროთ თუ არაო. მე ვუთხარი, რომ განცხადებები არ დაეწერათ, რადგან შემდეგ სამართლებრივად, უკანონოდ გათავისუფლების თაობაზე დავა რთულია. მაშინ უნდა დაამტკიცონ, რომ ზეწოლა იყო.

***— ხომ არ გადაგიმოწმებიათ მათი განცხადება რაიონის გამგებელსა და სახანძრო- სამაშველო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან?***

— სიმართლე გითხრათ, პრესკონფერენცია პრევენციისთვის ჩავატარე. რუსეიშვილიც და შარაშენიძეც ოფიციალურად, ალბათ, უარყოფენ კიდეც, რომ რეალურად ასეთი ფაქტი იყო, იმიტომ რომ ოზურგეთის გამგეობაში სხვა კუთხითაც იყო ადრე შეხლა-შემოხლა და უარყვეს. ოლეგ იაძის ტატამს ნუ გადავიტანთ ოზურგეთში, რადგან რეალურად იქ სულ სხვა სიტუაციაა, თან ოზურგეთი სოციალურად ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

***— მე მგონი, სოციალურად ყველგან ძალიან მძიმე მდგომარეობაა.***

— დიახ, მაგრამ ოზურგეთში — განსაკუთრებით, თუმცა, მთლიანად საქართველოში პრობლემებია. ვფიქრობთ, ხელისუფლებამ ამგვარი გადაწყვეტილებების მიმღები ჩინოვნიკი უნდა დასაჯოს, რადგან ამგვარი ქმედებები საბოტაჟის მცდელობაა.



***— საბოტაჟის მცდელობა რატომ არის?***

— საბოტაჟის მცდელობაა, როცა ადამიანებს სამსახურიდან ათავისუფლებ. ეს უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში. მათ ოჯახები და გარკვეული წრე ჰყავთ, რომლებიც ამას აღიქვამენ რეპრესიად, რაც, ჯამში, გამოიწვევს ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებას. ეს ხალხი იტყვის, ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ რატომ გვიშვებთო. რატომ აწერინებ განცხადებას, ვინ მოგცა მაგის უფლება, რომ გათავისუფლების ბრძანება დააწერინო ადამიანებს? თუ რაიმე გადაცდომა აქვს ან არ ასრულებს თავის უფლებამოსილებას, მაშინ გაუშვი სამსახურიდან. ეს არის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. ამიტომ, ვფიქრობ, შესასწავლია, ოზურგეთის რაიონში რატომ არის ამგვარი პრობლემები.

***— ზოგადად, პრობლემა ის ხომ არ არის, რომ ცენტრალური ხელისუფლება შეიცვალა, ხოლო რაიონებში ხელისუფლების ცვლილებები არჩევნებით არ მომხდარა, ხალხს კი უნდა, შეიცვალოს?***

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჯოხი მეისრეებზე არ უნდა გადატყდეს. რაიონებში პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვინც არის და ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ის უნდა გათავისუფლდეს. უნდა გათავისუფლდნენ ის ადამიანები, რომლებიც დანაშაულს ჩადიოდნენ. ასეთები პროკურატურასა და პოლიციაში მუშაობენ, რომლებიც ამ ორგანოებში ჩანერგილი არიან ნაციონალური მოძრაობის მხრიდან და ამ სტრუქტურებიდან ინფორმაციები გააქვთ.

მოქალაქე -ამირან უნგიაძეს
პ/ნ- 61003009415

როგორც მოგეხსენებათ სს „ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | 724190001 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | 724190001-1 |
| გირავნობის ხელშეკრულება | 724190001-ა |

თქვენ მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში, თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით, სს "ბითიეი ბანკი"

მოქალაქე -კობა კობაიძეს
პ/ნ- 01026005653

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | 731060001 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | 731060001-1 |
| გირავნობის ხელშეკრულება | 731060001-ა |

თქვენ მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით, სს "ბითიეი ბანკი"

მოქალაქე -ირაკლი დგებუაძეს
პ/ნ- 01024044673

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | 711610001 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | 711610001-3 |
| გირავნობის ხელშეკრულება | 711610001-ა |

თქვენ მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით, სს "ბითიეი ბანკი"

# აკუტაგავა რიუნოსკეს დაბადებიდან 121 წელი შესრულდა

პირველ მარტს, იაპონელი მწერლის, ახალი იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის, აკუტაგავა რიუნოსკეს (ჩოკოდო შუჯინის) დაბადებიდან 121 წელი შესრულდა. აკუტაგავა 1892 წლის 1-ელ მარტს ტოკიოში დაიბადა.

აკუტაგავას მოთხრობები და ნოველები თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის, ქართულად. მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია კინოფილმები.

მწერალმა 1927 წლის 24 ივლისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

აღიარება ღრმა ფსიქოლოგიზმისა და რაფინირებული სტილის მეოხებით მოიპოვა. აკუტაგავა რიუნოსკე ცოცხალი სინამდვილისგან განდგომილი ხელოვანი იყო. ბევრი ნოველის სიუჟეტი მან აიღო არა თანამედროვე ცხოვრებიდან, არამედ შუა საუკუნის ლეგენდებიდან და ლიტერატურული ძეგლებიდან, რათა გამიჯვნოდა, მისი აზრით, უხამს, უგვანო რეალობას და მთელი ყურადღება გადაეტანა აბსტრაქტული ადამიანის რთული, ხშირად არაბუნებრივი სულიერი პროცესების წარმოსახვაზე („უსიერ ტყეში", 1922; „ამბავი სიკეთის გადახდისა", 1922).



აკუტაგავა რიუნოსკეს ნაწარმოებებს ლირიზმით შეზავებული სკეფსისისა და პესიმიზმის დაღი აზის, რასაც განაპირობებდა არსებულ ყოფასთან მისი ეთიკური მოთხოვნების შეუთავსებლობა. აქედან – მწერლის საგანგებო ინტერესი რელიგიის მიმართ („ნანკინელი ქრისტე", „ოგინი", „კბილანები", 1927). აქედან გამომდინარეობს აკუტაგავა რიუნოსკეს დაბეჯითებული ესთეტიზმი; ხელოვნებისა და ცხოვრების დაპირისპირებისას იგი უპირატესობას ყოველთვის ხელოვნებას ანიჭებს („ცხოვრება იდიოტისა", 1927; „წამებანი ჯოჯოხეთისა", 1918).

ბოლო წლებში გაუმძაფრდა ფსიქიკური გადაძაბვა, თვითმკვლელობაზე ფიქრი აეკვიატა, რაც ასახულია მის უკანასკნელ მოთხრობებში „კბილებიანი ბორბლები", „ცხოვრება იდიოტისა", „წერილები ძველ მეგობარს". 1927 წლის აპრილის დასაწყისში აკუტაგავამ დაამთავრა „კბილებიანი ბორბლები", სადაც პროტოკოლური სიზუსტით აღწერა ტოკიოში ერთ-ერთი უკანასკნელი მგზავრობისას თავისი განცდები, ადამიანებთან შეხვედრები და საუბრები. მოთხრობა მომწამვლელი ნაღვლითაა სავსე. ცხადი იყო, რომ ცხოვრება უკვე მობეზრებოდა – ვერ ურიგდებოდა არა მარტო სამყაროს, არამედ საკუთარ თავსაც. ტრაგიკული თხრობა ასეთი სიტყვებით მთავრდება: „წერის ძალა აღარა მაქვს. ასეთ სულიერ ყოფაში ცხოვრება – აუწერელი ტანჯვაა! ნუთუ ვერ მოიძებნება ვინმე, ვინც წყნარად მიმახრჩობდა მძინარეს?"

აკუტაგავა ადრეული წლებიდან ცდილობდა ამ ცხოვრებიდან წასვლას. ახალგაზრდა ასაკში ექსპერიმენტი ჩაიტარა საკუთარ თავზე: თოკით კისერი მოიჭირა და წამზომით აკვირდებოდა, თუ რამდენი წამით გახანგრძლივდებოდა სიკვდილი. ათი წამის შემდეგ, როდესაც ცნობიერებამ დაბინდვა დაიწყო, გააჩერა ექსპერიმენტი – თვითმკვლელობის ეს მეთოდი მწერალს არ მოეწონა. პოპულარობას ადრე მიაღწია, ცხოვრების სხვა გარეგანი გამოვლინებებიც საკმაოდ კეთილსაიმედოდ წარიმართა: მტკიცე ოჯახი, ლიტერატურული წარმატება, მკითხველთა სიყვარული. თუმცა თვითონ აკუტაგავა მიიჩნევდა, რომ მისი არსებობა ჯოჯოხეთია და ჯოჯოხეთი გახდა მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა. მწერალს მთელი ცხოვრება ეშინოდა სიგიჟის (დედის სულიერი აშლილობის გამო) და შემოქმედებითი უნაყოფობის. ბოლო წლებში შიში გადაიზარდა აკვიატებულ იდეად, ნერვულმა დაძაბვამ გამოიწვია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, უძილობა, გადაღლა.

1927 წლის 24 ივლისს, გამთენიისას, აკუტაგავა რიუნოსკემ ვერონალის სასიკვდილო დოზა მიიღო და, სრულ სიმშვიდეში, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იგი მხოლოდ 35 წლის იყო.

სიკვდილის წინ მან მოასწრო დაეწერა „ცხოვრება იდიოტისა", რომელიც მისი შემოქმედების მწვერვალად იქცა. მოთხრობა ადამიანის მარტოობის, დროისა და ისტორიის მიმართ მისი უძლურების აღსარებაა. აქ ისევ ჩნდება დეკადენსისა და მოდერნიზმის აშკარა მოტივები – გვამების აღწერა, ბავშვობაზე და შეშლილ დედაზე უსიხარულო მოგონებები, იგრძნობა ავტორის შიში საზოგადოების მიმართ. „კალმიანი ხელი უთრთოდა. ნერწყვმა უმწეო ბავშვივით დაუწყო დენა. გონება ნათელი ჰქონდა მხოლოდ გამოღვიძების შემდეგ, დაძინებას კი უამრავი ვერონალით ახერხებდა. და გონებასაც სულ ნახევარი ან ერთი საათით თუ უბრუნდებოდა ჩვეული ძალა. აუწყველ და ამოუხაპავ სიბნელეში მიიზლაზნებოდა დრო. თითქოს წვრილ მახვილზე იყო დაყრდნობილი, რომელსაც ალესილი პირი გადასტეხოდა" („ცხოვრება იდიოტისა", 1927 წლის ივნისი). მოთხრობა თავის მეგობარს დაუტოვა და სამუდამოდ დაემშვიდობა შემდეგი წარწერით: „ალბათ, არც ერთი თვითმკვლელი ბოლომდე დარწმუნებული არ არის იმ მოტივში, რის გამოც თავს იკლავს".

თვითმკვლელობამდე იგი რამდენიმე დღის განმავლობაში საწერი მაგიდიდან არ ამდგარა. 23 ივლისსაც მისი კაბინეტის ფანჯრებში გვიანობამდე სინათლე ენთო – იგი მუშაობდა ხელნაწერზე, ხოლო დილით მკვდარი იპოვეს. გადმოცემის მიხედვით, თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე უთქვამს შემდეგი ბოლო ფრაზები: „ბუნება მაღელვებს ისე, როგორც არასდროს, რადგან სამყაროს ვუყურებ უკანასკნელად".

მწერლის თვითმკვლელობამ საგონებელში ჩააგდო მეგობრები და ნაცნობები, თუმცა, ეს ამბავი მათთვის არ იყო მოულოდნელი. მისი თვითმკვლელობის ჭეშმარიტი მიზეზი მაინც ვერავინ გაიგო. მწერალი ბოლო დროს უმიზეზო დეპრესიაში ჩავარდა, რომელსაც იგი „ბუნდოვან შფოთს" უწოდებდა. მიზეზი შესაძლოა ვეძებოთ პიროვნულ ხასიათში, დედის სულიერი აშლილობის მტკივნეულ მოგონებებში, შემოქმედებითი და პიროვნული ტემპერამენტის თავისებურებებში. პირად საუბრებში იგი არაერთხელ ახსენებდა, რომ ხვდებოდა საკუთარ ორეულს – თეატრში, ქუჩაში და ა.შ.

1935 წელს მისი მეგობრის, მწერალ კიკუტი კანოს მიერ დაწესებული იქნა აკუტაგავა რიუნოსკეს სახელობის პრემია, რომელსაც წელიწადში ერთხელ გადასცემენ იაპონიის საუკეთესო ახალგაზრდა ლიტერატორებს. აკუტაგავა რიუნოსკეს სახელობის პრემიის დევიზია „წმინდა ლიტერატურისათვის", მაშინ, როცა ნაოკის სახელობის პრემიის დევიზია – „ლიტერატურა მასებისათვის".

# ჰააგის ტრიბუნალმა სერბი გენერლის განაჩენი შეცვალა



ჰააგაში ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალმა იუგოსლავიის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. მომჩილო პერიშიჩს ადრე, 1990-იან წლებში ხორვატიასა და ბოსნიაში ჩადენილი სამხედრო დანაშაულებების გამო 27 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი, რომ გენერალი პირადად ეხმარებოდა ბოსნიელ და ხორვატიელი სერბების არმიებს.

თავად პერიშიჩი საკუთარ დანაშაულს არასდროს აღიარებდა. მომჩილო პერიშიჩის აპელაციის მოსმენის შემდეგ ჰააგის ტრიბუნალმა დაადგინა, რომ იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

ცნობისთვის, 1991 წლიდან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევაში პასუხისმგებელი პირების სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი საერთაშორისო ტრიბუნალი, უფრო ფართოდ ცნობილი როგორც საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე ან უბრალოდ ჰააგის ტრიბუნალი – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურაა, რომლის მიზანია სასამართლოს გადაეცეს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991 წლიდან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევაში ეჭვმიტანილი პირები, აღიკვეთოს ახალი დანაშაულები, ხელი შეეწყოს ყოფილ იუგოსლავიაში შერიგების გზით მშვიდობის დამყარებას.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# ელ კლასიკოთი გულშემატკივრები არ იღლებიან




## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02.03 | სუონსი-ნიუკასლი | 2.1 | 3.6 | 3.3 |
| 02.03 | სტოკი-ვესტ ჰემი | 3.1 | 3.1 | 3.75 |
| 02.03 | ჩელსი-ვესტბრომვიჩი | 1.36 | 4.5 | 9.0 |
| 02.03 | ევერტონი-რედინგი | 1.36 | 4.5 | 9.0 |
| 02.03 | სანდერლენდი-ფულემი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 02.03 | მანჩესტერი-ნორვიჩი | 1.3 | 5.0 | 10.0 |
| 02.03 | საუთჰემპტონი-ქპრ | 1.85 | 3.5 | 4.2 |
| 02.03 | უიგანი-ლივერპული | 4.33 | 3.6 | 1.8 |
| 03.03 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.3 | 3.6 | 2.9 |
| 04.03 | ასტონ ვილა-სიტი | 6.5 | 4.2 | 1.5 |

### სუონსი-ნიუკასლი

სუონსი: ***ტრავმ***-კიკო ფლორესი, ნეილ ტეილორი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ტიმ კრული, ჰატემ ბენ არფა, რაიან ტეილორი

### სტოკი-ვესტ ჰემი

სტოკი: ***ტრავმ***-მაიკლ ოუენი, მარკ უილსონი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯო ობრაიენი, დანიელ პოტსი, ჯეიმს კოლინზი, ჯორჯ მაკარტნი

### ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი

ჩელსი: ***ტრავმ***-ორიოლ რომეუ

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-გორან პოპოვი, პიტერ ოდემვინჯი, ზოლტან გერა

### ევერტონი-რედინგი

ევერტონი: ***ტრავმ***-ვიქტორ ანიშებე, სიმუს კულემანი, ტონი ჰიბერტი

რედინგი: ***ტრავმ***-ჯეისონ რობერტსი, ალექს მაკკარტნი

### სანდერლენდი-ფულემი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დანი როუზი

ფულემი: ***ტრავმ***-კირონ რიჩარდსონი, ქერიმ ფრეი, მაჰამადუ დიარა

### მანჩესტერი-ნორვიჩი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ფილ ჯონსი, უეინ რუნი, პოლ სქოულზი, დარენ ფლეტჩერი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ენდრიუ სურმანი, ჯონ რუდი

### საუთჰემპტონი-ქპრ

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჯული დო პრადო, ლუკ შოუ, ხოზე ფონტე

ქპრ: ***ტრავმ***-ფაბიო, ჟოზე ბოსინგვა, ლიოკ რემი, ენდრიუ ჯონსონი

### უიგანი-ლივერპული

უიგანი: ***ტრავმ***-ივან რამისი, მაიკ პოლიტი, ანტოლინ ალკალარაზი, ბენ უოტსონი

ლივერპული: ***ტრავმ***-მარტინ შკრტელი, ბრედ ჯონსი, ფაბიო ბორინი, მარტინ კელი

### ტოტენჰემი-არსენალი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ტომ ჰადლესტოუნი, ჯერმეინ დეფო, სანდრო, იუნის ქაბული

არსენალი: ***ტრავმ***-ბაქარი სანია, კირონ გიბსი

### ასტონ ვილა-სიტი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-მარკ ალბრაიტონი, გარი გარდნერი, სტილიან პეტროვი

სიტი: ***ტრავმ***-მიკა რიჩარდსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 27 | 22 | 2 | 3 | 64:31 | 68 |
| 2.სიტი | 27 | 16 | 8 | 3 | 50:24 | 56 |
| 3.ტოტენჰემი | 27 | 15 | 6 | 6 | 47:32 | 51 |
| 4.ჩელსი | 27 | 14 | 7 | 6 | 55:30 | 49 |
| 5.არსენალი | 27 | 13 | 8 | 6 | 52:30 | 47 |
| 6.ევერტონი | 27 | 10 | 12 | 5 | 41:34 | 42 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:36 | 40 |
| 8.ლივერპული | 27 | 10 | 9 | 8 | 49:34 | 39 |
| 9.სუონსი | 27 | 9 | 10 | 8 | 38:34 | 37 |
| 10.სტოკი | 27 | 7 | 12 | 8 | 26:32 | 33 |
| 11.ფულემი | 27 | 8 | 8 | 11 | 37:42 | 32 |
| 12.ნორვიჩი | 27 | 7 | 11 | 9 | 27:41 | 32 |
| 13.ვესტ ჰემი | 27 | 8 | 6 | 13 | 31:41 | 30 |
| 14.ნიუკასლი | 27 | 8 | 6 | 13 | 38:48 | 30 |
| 15.სანდერლენდი | 27 | 7 | 8 | 12 | 29:36 | 29 |
| 16.საუთჰემპტონი | 27 | 6 | 9 | 12 | 38:49 | 27 |
| 17.უიგანი | 27 | 6 | 6 | 15 | 33:51 | 24 |
| 18.ასტონ ვილა | 27 | 5 | 9 | 13 | 26:52 | 24 |
| 19.რედინგი | 27 | 5 | 8 | 14 | 33:51 | 23 |
| 20.ქპრ | 27 | 2 | 11 | 14 | 19:43 | 17 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02.03 | რეალი-ბარსელონა | 3.0 | 3.5 | 2.25 |
| 02.03 | დეპორტივო-რაიო | 2.4 | 3.3 | 2.87 |
| 02.03 | ოსასუნა-ბილბაო | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 02.03 | ვალენსია-ლევანტე | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 03.03 | გრანადა-მალიორკა | 2.05 | 3.25 | 3.75 |
| 03.03 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1.85 | 3.4 | 4.33 |
| 03.03 | მალაგა-ატლეტიკო | 2.62 | 3.3 | 2.6 |
| 03.03 | სოსიედადი-ბეტისი | 1.8 | 3.6 | 4.33 |
| 04.03 | სევილია-სელტა | 1.44 | 4.2 | 7.5 |

### რეალი-ბარსელონა

რეალი: ***ტრავმ***-ჩაბი ალონსო, იკერ კასილიასი

ბარსელონა: ***ტრავმ***-არავინ

### დეპორტივო-რაიო

დეპორტივო: ***ტრავმ***-აიტჰამი, ლაურე

რაიო: ***ტრავმ***-როდრი, მიკელ ლაბაკა

### ოსასუნა-ბილბაო

ოსასუნა: ***ტრავმ***-სისი

ბილბაო: ***ტრავმ***-რუიზ დე გალარეტა, კარლოს გუპრეგი, ბორხა ეკიზა, ინიგო პერესი

### ვალენსია-ლევანტე

ვალენსია: ***ტრავმ***-ჯონათან ვიერა, ადილ რამი

ლევანტე: ***ტრავმ***-კრისტიან ლელი, ნაბილ ელ ზარი

### გრანადა-მალიორკა

გრანადა: ***ტრავმ***-დანიელ ბენიტესი

მალიორკა: ***ტრავმ***-ანტონიო ლოპესი, ხავიერ არიზმენდი, პედრი ბიგასი, ჟოაო ვიქტორი

### ესპანიოლი-ვალიადოლიდი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-მუბარაქ ვაკასო, რაულ ბაენა

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-მარკ ვალიენტე, პატრიკ ებერტი, ვიქტორ პერესი

### მალაგა-ატლეტიკო

მალაგა: ***ტრავმ***-ხესუს გომესი, ელისეუ

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

### სოსიედადი-ბეტისი

სოსიედადი: ***ტრავმ***-გორკა ელუსტუნდო

ბეტისი: ***ტრავმ***-რუბენ პერესი, პოზუელო, რუბენ კასტრო, სალვა სევილია, ედერ ვილარჩაო

### სევილია-სელტა

სევილია: ***ტრავმ***-სისინიო, ბრაიან რაბელო, ანდრეს პალოპი, პიოტრ ტროხოვსკი

სელტა: ***ტრავმ***-ანდრე ტუნეცი, უგო მალო, სამუელ ლორკა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 82:28 | 68 |
| 2.ატლეტიკო | 25 | 18 | 2 | 5 | 48:23 | 56 |
| 3.რეალი | 25 | 16 | 4 | 5 | 62:23 | 52 |
| 4.მალაგა | 25 | 12 | 6 | 7 | 35:24 | 42 |
| 5.ვალენსია | 25 | 12 | 5 | 8 | 36:37 | 41 |
| 6.სოსიედადი | 25 | 10 | 7 | 7 | 41:31 | 40 |
| 7.ბეტისი | 25 | 12 | 3 | 10 | 34:35 | 39 |
| 8.რაიო | 25 | 12 | 1 | 12 | 34:43 | 37 |
| 9.ხეტაფე | 25 | 10 | 5 | 10 | 37:42 | 35 |
| 10.ლევანტე | 25 | 10 | 4 | 11 | 30:38 | 34 |
| 11.ვალიადოლიდი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:33 | 33 |
| 12.სევილია | 25 | 9 | 5 | 11 | 34:37 | 32 |
| 13.ესპანიოლი | 25 | 8 | 7 | 10 | 31:35 | 31 |
| 14.ოსასუნა | 25 | 6 | 7 | 11 | 22:27 | 28 |
| 15.გრანადა | 25 | 7 | 5 | 13 | 24:36 | 26 |
| 16.ბილბაო | 25 | 7 | 5 | 13 | 30:49 | 26 |
| 17.სარაგოსა | 25 | 7 | 4 | 14 | 24:36 | 25 |
| 18.სელტა | 25 | 6 | 5 | 14 | 24:32 | 20 |
| 19.მალიორკა | 25 | 4 | 6 | 15 | 24:48 | 18 |
| 20.დეპორტივო | 25 | 3 | 7 | 15 | 29:56 | 16 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02.03 | მილანი-ლაციო | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 03.03 | ტორინო-პალერმო | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 03.03 | ფიორენტინა-კიევო | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 03.03 | კატანია-ინტერი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 03.03 | ბოლონია-კალიარი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 03.03 | სიენა-ატალანატა | 2.25 | 3.25 | 3.2 |
| 03.03 | სამპდორია-პარმა | 2.2 | 3.25 | 3.3 |
| 03.03 | პესკარა-უდინეზე | 3.4 | 3.3 | 2.15 |
| 03.03 | რომა-ჯენოა | 1.53 | 4.0 | 6.0 |

### მილანი-ლაციო

მილანი: ***ტრავმ***-ჯანპაოლო პაცინი, ანტონიო ნოჩერინო, მეტიუ ფლამინი, რობიონიო, ლუკა ანტონინი, დანიელე ბონერა, ნაიჯელ დე იონგი

ლაციო: ***ტრავმ***-სტეფანო მაური, მიროსლავ კლოზე, კრისტიან ბროკი

### ტორინო-პალერმო

ტორინო: ***ტრავმ***-ჯონათასი, მარიო სანტანა

პალერმო: ***ტრავმ***-მიქელე მორგანელა, ანდრეა მანტოვანი, აბელ ერნანდესი

### ფიორენტინა-კიევო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ფაცუნდო რონკალია, მატიას ფერნანდესი

კიევო: ***ტრავმ***-ნიკოს სპიროპულოსი, ადრიან სტოიანი, ჯენარო სარდო

### კატანია-ინტერი

კატანია: ***ტრავმ***-სერხიო ალმირონი, პაბლო ბარიენტოსი, ჩირო კაპუანო, ფაბიო სკიაცა

ინტერი: ***ტრავმ***-მატიას სილვესტრი, დეიან სტანკოვიჩი, დიეგო მილიტო, კრისტიან კივუ, ჯოელ ობი, ვალტერ სამუელი, ლუკა კასტელაცი

### ბოლონია-კალიარი

ბოლონია: ***ტრავმ***-დანიელე პაპონი, ფრედრიკ სორენსენი, ჩეზარე ნატალი

კალიარი: ***ტრავმ***-ტიაგო რიბეირო

### სიენა-ატალანტა

სიენა: ***ტრავმ***-ანჯელო

ატალანტა: ***ტრავმ***-ჯანპაოლო ბელინი, ლუკა გიგარინი, მიქელე ლფერი, გვიდო მარილუნგო

### სამპდორია-პარმა

სამპდორია: ***ტრავმ***-ენცო მარესკა, ანჯელო პალომბო

პარმა: ***ტრავმ***-მაკდონალდ მარიგა, ფაბიანო სანტაკროკე, დანიელე გალოპა

### პესკარა-უდინეზე

პესკარა: ***ტრავმ***-გაეტანო დაგოსტინო, დამიანო ძანონი, ფერდინანდო სფორცინი

უდინეზე: ***ტრავმ***-ანდრეა ლაძარი, ჯამპიერო პინცი, ზელკო ბრკიჩი

### რომა-ჯენოა

რომა: ***ტრავმ***-ფრანჩესკო ტოტი, დანიელე დე როსი, ლეანდრო გასტანი, მატია დესტრო

ჯენოა: ***ტრავმ***-რუბენ ოლივეირა, ენის ნადარევიჩი, მატია კასანი, ანტონიო ფლორო ფლორესი, ბოშკო იანკოვიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 65 | 18 | 4 | 4 | 53:17 | 58 |
| 2.ნაპოლი | 26 | 15 | 7 | 4 | 46:21 | 52 |
| 3.ლაციო | 26 | 15 | 5 | 7 | 37:29 | 47 |
| 4.მილანი | 26 | 13 | 6 | 7 | 45:32 | 45 |
| 5.ინტერი | 26 | 13 | 5 | 8 | 41:34 | 44 |
| 6.ფიორენტინა | 26 | 12 | 6 | 8 | 46:32 | 42 |
| 7.კატანია | 26 | 12 | 6 | 8 | 34:31 | 42 |
| 8.რომა | 26 | 12 | 4 | 10 | 54:47 | 40 |
| 9.უდინეზე | 26 | 9 | 10 | 7 | 35:34 | 37 |
| 10.სამპდორია | 26 | 9 | 6 | 11 | 33:30 | 32 |
| 11.პარმა | 26 | 8 | 8 | 10 | 32:35 | 32 |
| 12.ტორინო | 26 | 7 | 11 | 8 | 32:32 | 31 |
| 13.კალიარი | 26 | 8 | 7 | 11 | 32:44 | 31 |
| 14.ბოლონია | 26 | 8 | 5 | 13 | 35:36 | 29 |
| 15.კიევო | 26 | 8 | 5 | 13 | 26:42 | 29 |
| 16.ატალანტა | 26 | 8 | 5 | 13 | 24:38 | 27 |
| 17.ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 26:37 | 26 |
| 18.სიენა | 26 | 7 | 6 | 13 | 27:37 | 21 |
| 19.პესკარა | 26 | 6 | 3 | 17 | 20:53 | 21 |
| 20.პალერმო | 26 | 3 | 11 | 12 | 22:39 | 19 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02.03 | ვოლფსბურგი-შალკე | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 02.03 | ვერდერი-აუგსბურგი | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 02.03 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1.25 | 6.0 | 12.0 |
| 02.03 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 2.5 | 3.3 | 2.75 |
| 02.03 | ჰამბურგი-ფიურტი | 1.65 | 3.8 | 5.0 |
| 02.03 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.6 | 4.0 | 5.25 |
| 03.03 | ჰოფენჰაიმი-ბაიერნი | 9.5 | 5.5 | 1.28 |
| 03.03 | ფორტუნა-მაინცი | 2.8 | 3.3 | 2.45 |

### ვოლფსბურგი-შალკე

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ფაგნერი

შალკე: ***ტრავმ***-ლარს უნერსტალი, ასტუდო უჩიდა, ჩიპრიან მარიკა, კრისტოფერ მორიცი, იბრაჰიმ აფელაი, კირიაკოს პაპადოპულოსი

### ვერდერი-აუგსბურგი

ვერდერი: ***ტრავმ***-კლემენს ფრიტცი, ნიკლას ფულკრუგი, ფილიპ ბარგფრედი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-არისტიდ ბანკე, ალექსანდერ მანინგერი, იან მორავეკი, სიმონ ჯენტში, მილან პეტრჟელა

### დორტმუნდი-ჰანოვერი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-პატრიკ ოვომოიელა

ჰანოვერი: ***ტრავმ***-მარიო ეგიმანი, სტივ ჩერუნდოლო, ლარს სტინდი, ფელიპე, ლეონ ანდრეასენი

### ნიურნბერგი-ფრაიბურგი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-რობერტ მაკი, მუჰამედ ილდიზი, ტიმო გებჰარტი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ვეგარ ეგენი, სებასტიან ფრეისი

### ჰამბურგი-ფიურტი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ივო ილიჩევიჩი, ჟი ჯინ ლამი

ფიურტი: ***ტრავმ***-ზოლტან შტიბერი, ჰაინრიხ შმიტდალი, სებასტიან ტირალა

### ლევერკუზენი-შტუტგარტი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ქარიმ ბელარაბი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-დანიელ დიდდავი, თუნაი თორუნი, მამადუ ბა, კაკაუ

### ჰოფენჰაიმი-ბაიერნი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-სეიად სალიჰოვიჩი, სებასტიან რუდი, ბორის ვუკჩევიჩი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჰოლგერ ბადშტურბერი

### ფორტუნა-მაინცი

ფორტუნა: ***ტრავმ***-რონი გარბუჩევსკი, ანდრეი ვორონინი

მაინცი: ***ტრავმ***-ნიკიტა რუკავიცა, იან კირჰოფი, ნიკო ბუნგერტი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 19 | 3 | 1 | 57:7 | 60 |
| 2.დორტმუნდი | 23 | 12 | 7 | 4 | 51:27 | 43 |
| 3.ლევერკუზენი | 23 | 12 | 6 | 5 | 43:30 | 42 |
| 4.აინტრახტი | 23 | 11 | 5 | 7 | 38:34 | 38 |
| 5.ფრაიბურგი | 23 | 9 | 8 | 6 | 29:22 | 35 |
| 6.ჰამბურგი | 23 | 10 | 4 | 9 | 28:32 | 34 |
| 7.ჰანოვერი | 23 | 10 | 3 | 10 | 46:42 | 33 |
| 8.მაინცი | 23 | 9 | 6 | 8 | 31:28 | 33 |
| 9.შალკე | 23 | 9 | 6 | 8 | 37:38 | 33 |
| 10.გლადბახი | 23 | 7 | 10 | 6 | 32:34 | 31 |
| 11.შტუტგარტი | 23 | 8 | 5 | 10 | 25:40 | 29 |
| 12.ვერდერი | 23 | 8 | 4 | 11 | 39:47 | 28 |
| 13.ფორტუნა | 23 | 7 | 6 | 10 | 28:31 | 27 |
| 14.ნიურნბერგი | 23 | 6 | 9 | 8 | 23:30 | 27 |
| 15.ვოლფსბურგი | 23 | 7 | 6 | 10 | 23:33 | 27 |
| 16.აუგსბურგი | 23 | 3 | 9 | 11 | 20:36 | 18 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 23 | 4 | 4 | 15 | 27:48 | 16 |
| 18.ფიურტი | 23 | 2 | 7 | 14 | 13:36 | 13 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02.03 | რეიმსი-პსჟ | 7.0 | 4.33 | 1.44 |
| 02.03 | ლორიენი-ვალანსიენი | 1.91 | 3.3 | 4.2 |
| 02.03 | სოშო-ნანსი | 2.15 | 3.1 | 3.6 |
| 02.03 | ტულუზა-ევიანი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 02.03 | სენტ ეტიენი-ნიცა | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 02.03 | ბასტია-აიაჩო | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 03.03 | ბრესტი-ლიონი | 4.33 | 3.4 | 1.85 |
| 03.03 | მარსელი-ტრუა | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 03.03 | ლილი-ბორდო | 1.91 | 3.2 | 4.5 |

### რეიმსი-პსჟ

რეიმსი: ***ტრავმ***-ფლორენ ჟისოფლი, ჟულიენ ტუოდიჩი, ფლოიდ აიიტე

პსჟ: ***ტრავმ***-მამადუ საჰო, ტიაგო მოტა, ტიაგო სილვა

### ლორიენი-ვალანსიენი

ლორიენი: ***ტრავმ***-გრეგუარ ბურილონი, ალან ტრაორე

ვალანსიენი: ***ტრავმ***-მარკო და სილვა

### სოშო-ნანსი

სოშო: ***ტრავმ***-ედუარდ ბუტინი, იოსიფ ლოპი, როი კონტო, კარლაო, ტიერი დუბაი

ნანსი: ***ტრავმ***-პაულ ეფოულო, ჯუნიორ ხიაკომი, რომან გრანგე, ზირი ჰამარი

### ტულუზა-ევიანი

ტულუზა: ***ტრავმ***-ჯონათან ძებინა

ევიანი: ***ტრავმ***-შტეფან ანდერსენი, ჯაკარიჯა კონე, ჯონათან მენსა, ალი მადი

### სენტ ეტიენი-ნიცა

სენტ ეტიენი: ***ტრავმ***-დანიელ ალეკსიჩი, ალეხანდრო ალონსო, ბანელ ნიკოლიტა

ნიცა: ***ტრავმ***-მაჰამანე ტრაორე, ჯერემი პიდი, ხავიერ პენტეკოტე, დარიო ცვიტანიჩი, დიაჩკო ფოფანა

### ბასტია-აიაჩო

ბასტია: ***ტრავმ***-ჟულიენ საბლე, ილანი, იანიკ კაუზაკი

აიაჩო: ***ტრავმ***-დამიენ ტიბერი, ადრიან მუტუ, ბენჯამინ ანდრე, არნო მაირე, ფუსენი დიავარა, დავიდ ებერჰაუზერი

### ბრესტი-ლიონი

ბრესტი: ***ტრავმ***-ბრაჰიმ ფერადი, პოლ ბეისი

ლიონი: ***ტრავმ***-იოან გურკუფი, ჯიმი ბრიანდი

### მარსელი-ტრუა

მარსელი: ***ტრავმ***-მორგან ამალფიტანო, ბენუა ჩერო

ტრუა: ***ტრავმ***-მაქსიმ კოლინი, ელოგე ენზა-იამისი, სებასტიან გრო

### ლილი-ბორდო

ლილი: ***ტრავმ***-რიო მავუბა, რაიან მენდესი

ბორდო: ***ტრავმ***-ჰადი სახო, დიეგო როლანი, მარიანო, კარლოს ენრიკე, ლანდრი ნგუემო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 16 | 6 | 4 | 49:16 | 54 |
| 2.ლიონი | 26 | 15 | 6 | 5 | 46:26 | 48 |
| 3.მარსელი | 26 | 14 | 4 | 8 | 32:31 | 46 |
| 4.ნიცა | 26 | 12 | 9 | 5 | 39:28 | 45 |
| 5.სენტ ეტიენი | 26 | 12 | 8 | 6 | 40:19 | 44 |
| 6.მონპელიე | 26 | 12 | 5 | 9 | 41:32 | 41 |
| 7.რენი | 26 | 12 | 5 | 9 | 39:34 | 41 |
| 8.ლილი | 26 | 10 | 10 | 6 | 34:26 | 40 |
| 9.ლორიენი | 26 | 10 | 9 | 7 | 42:42 | 39 |
| 10.ბორდო | 26 | 9 | 11 | 6 | 26:22 | 38 |
| 11.ვალანსიენი | 26 | 9 | 7 | 10 | 34:36 | 34 |
| 12.ტულუზა | 26 | 8 | 9 | 9 | 32:32 | 33 |
| 13.აიაჩო | 26 | 7 | 10 | 9 | 29:36 | 29 |
| 14.ბრესტი | 26 | 8 | 4 | 14 | 27:36 | 28 |
| 15.სოშო | 26 | 7 | 6 | 13 | 27:38 | 27 |
| 16.ბასტია | 26 | 7 | 6 | 13 | 29:51 | 27 |
| 17.რეიმსი | 26 | 5 | 9 | 12 | 22:31 | 24 |
| 18.ევიანი | 26 | 5 | 8 | 13 | 23:39 | 23 |
| 19.ტრუა | 26 | 3 | 11 | 12 | 28:46 | 20 |
| 20.ნანსი | 26 | 3 | 9 | 14 | 22:44 | 18 |

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

# გიორგი ცინცაძე: „წარმატება ბევრ შრომას მოაქვს"

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დღემდე ყველაფერი კარგად მიდის როგორც ჩემთვის, ასევე „ბუდიველნიკისთვის". მადლობელი ვარ გუნდის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელების, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს.

***– ქართული სამზარეულოს რომელ კერძს ანიჭებ უპირატესობას?***

– ძალიან მენატრება ხინკალი, ხაჭაპური.

***– რომელ თანაგუნდელს გამოარჩევ?***

– ყველაზე გამოცდილი არტურ დროზდოვია, რომელსაც უკრაინაში ჩამოსვლამდეც ვიცნობდი. იგი დიდი ხანია, ევროპაში მაღალ დონეზე თამაშობს. დანარჩენებს კარგად არ ვიცნობდი, თუმცა, ჩამოსვლის შემდეგ გავიცანი, გავუგე და უნდა აღვნიშნო, რომ საინტერესო გუნდი გვყავს. ყველას აქვს დადებითი მხარეები და სწორი მიდგომის შემთხვევაში კარგი შედეგის მიღებაც შეიძლება.

– კალათბურთის გარდა, სპორტის რომელი სახეობით ერთობი?

– მართალია, ფეხბურთში პროფესიონალი არ ვარ, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ის კალათბურთზე არანაკლებად მიყვარს. „ბარსელონას" ქომაგი ვარ, მისი მონაწილეობით თამაშს არ ვტოვებ. „ბარსას" მატჩები ჩემთვის ყოველთვის დიდი მოვლენაა. თუ რომელიმე თამაშს ვერ ვუსწრებ, ინტერნეტში ვიწერ და შემდეგ ვუყურებ. როცა „ბარსელონა" იგებს, ისე მიხარია, თითქოს ჩემი გუნდი იმარჯვებდეს.

– „ბუდიველნიკში" კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდი?

– აქ თავს კარგად ვგრძნობ და სიამოვნებით დავრჩებოდი, თუმცა, ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული.

– გული დაკავებულია?

– მყავს მეუღლე და პატარა შვილი. ასე რომ, ჩემი გული დაკავებულია.

– საქართველოში ჩასვლას რამდენად ხშირად ახერხებ?

– საახალწლოდ მწვრთნელმა ოთხდღიანი დასვენება მოგვცა, რამაც ძალიან გამახარა. შესაძლოა, 4 დღე ვინმეს ეცოტავოს, მაგრამ პროფესიონალი კალათბურთელისთვის ნამდვილად ბევრია. ჩემთვის საქართველო საუკეთესო ქვეყანაა ყველა კრიტერიუმით. შესაძლოა, იქ ცუდიცაა და კარგიც, მაგრამ ჩემთვის საქართველოში ყველაფერი კარგია. განსაკუთრებულია ბუნება, უამრავი ღირსშესანიშნაობაა, რომელთაგან ერთის გამორჩევაც მიჭირს. ასე რომ, ყველას ვურჩევ, ჩამოვიდეს და საკუთარი თვალით ნახოს საქართველო.

– ამერიკაში არ ყოფილხარ?

– ძალიან საინტერესოა, მაგრამ არ ვყოფილვარ. კარიერის განმავლობაში არაერთხელ მქონდა შტატებში გამგზავრების შანსი, მაგრამ არ მოვინდომე, რადგან გზაში 10 საათია საჭირო, რაც მეტად დამღლელია.

– თანაგუნდელებზე კიდევ რისი თქმა შეგიძლია?

– მეგობრული კოლექტივი გვყავს, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ერთად დავდივართ გასართობად, დასასვენებლად. სწორედ ერთობაა „ბუდიველნიკის" მთავარი პლუსი.

– მანუჩარ მარკოიშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

– ჩემი ახლო მეგობარია. ნაკრებებში 16 წლის ასაკიდან ვთამაშობთ. წლეულს მისი და ჩემი გუნდები თურქეთიდან ერთად გამოვფრინდით და მანუჩართან შეხვედრის საშუალება მომეცა. ძლიერი კალათბურთელია. მიხარია, რომ კარიერაში დიდი წარმატებები აქვს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ლაშა ბუღაძე ლონდონში მიდის

ეკა ირემაშვილი

ქართველი მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე მარტის დასაწყისში ლონდონში მიემგზავრება. ამის მიზეზი პიესების კითხვის კონკურსში მისი გამარჯვება გახდა, რომელშიც ქართველი და უკრაინელი დრამატურგები მონაწილეობდნენ. მისი პიესა „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“ პროექტის ორგანიზატორებმა ქართველ დრამატურგთა პიესებს შორის საუკეთესოდ ცნეს და 13 მარტს ლაშა ბუღაძის პიესის თეატრალიზებული კითხვა ლონდონში „როიალ ქორთის თეატრის“ სცენაზე გაიმართება.

პროექტი სახელწოდებით „ნიუ ვრაიტინგ“ (ახალი დრამატურგია) თანამედროვე დრამატურგებს აერთიანებს და მისი პარტნიორები საქართველოში არიან მარჯანიშვილის თეატრი და თუმანიშვილის ფონდი. ორგანიზატორები კი არიან ბრიტანეთის საბჭო საქართველოში და ბრიტანეთის საბჭო უკრაინაში. პროექტის პირველ ნაწილში ერთადერთი მთხრობელია მაია დარჩია, პირველი მსმენელი და კურიერი – ლაშა ჩხარტიშვილი, პროექტის მონაწილეები – ლაშა ბუღაძე, დავით გაბუნია, ბაჩო კვირტია, ნესტან-ნენე კვინიკაძე, დათა თავაძე, ბასა ჯანიკაშვილი, ნანუკა სეფაშვილი.

– პროექტის განხორციელება დაიწყო 2009 წელს, როდესაც ბრიტანეთის საბჭომ ჩაატარა ლიტერატურული ფორუმი ქეიბრიჯში. ამ ფორუმზე განაცხადი გააკეთა თუმანიშვილის ფონდის პრეზიდენტმა მანანა ანთაძემ, რომელიც წლების განმავლობაში ახორციელებს პროექტს „ახალი ქართული პიესა“. ქალბატონი მანანას შესახებ მოითხოვეს ინფორმაცია და საქართველოს ბრიტანეთის საბჭომ მის მუშაობას დადებითი შეფასება მისცა. მანანა ანთაძემ ლონდონში ვიზიტისას გაიცნო „როიალ ქორთის თეატრის“ წარმომადგენელი ელის დოჯსონი, რომელიც უკვე იცნობდა ლაშა ბუღაძეს და გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ქართულ თეატრზე. ელის დოჯსონი დაუკავშირდა ბრიტანეთის საბჭოს ყოფილ დირექტორს პოლ დაბლდეის და ჰკითხა, რამდენად პერსპექტიული შეიძლებოდა ყოფილიყო ახალი დრამატურგიის რეზიდენტურის პროექტის განხორციელება საქართველოში. „როიალ ქორთის თეატრს“ ამ მიმართულებით დიდი და მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ისინი მუშაობენ უზარმაზარ ქვეყნებში, მათ შორის ბრაზილიასა და რუსეთში. ბრიტანეთის საბჭოს ყოფილი დირექტორი პოლ დაბლდეი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ პროექტით როიალ ქორთის დაინტერესებაში, დაუკავშირდა უკრაინელ კოლეგებს, რათა პროექტის განსახორციელებლად გაერთიანებულიყო ფინანსური სახსრები და ინტელექტუალური პოტენციალი. როიალ ქორთ თეატრთან, მანანა ანთაძესთან და მარჯანიშვილის თეატრთან ერთად გამოცხადდა კონკურსი ქართველი დრამატურგებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ პროექტში. მათი ნამუშევრების ნაწყვეტები (შემდგომში პიესების სრული ვერსიები) ითარგმნა ლონდონში დონალდ რეიფილდის მიერ (მას ვაჟა-ფშაველას თარგმანები ეკუთვნის). ლონდონშივე შეირჩა პროექტის მონაწილე ექვსივე დრამატურგი, – აცხადებს ბრიტანეთის საბჭოს საქართველოში წარმომადგენლობის ხელოვნების პროექტების მენეჯერი მაია დარჩია.

„როიალ ქორთის თეატრის“ დამწყებ, ახალგაზრდა დრამატურგებთან მუშაობის სპეციფიკა ძალიან საინტერესოა, ბრიტანეთში ზოგადად დიდ ყურადღებას აქცევენ დრამატურგიას და ახორციელებენ პროექტებს დამწყები დრამატურგების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. პროექტი, რომლის საწყის ეტაპზე მონაწილეობდა ზემოთ ხსენებული შვიდი ქართველი დრამატურგი, ხორციელდებოდა ორი წლის განმავლობაში. პირველ ეტაპზე პროექტის ხელმძღვანელი ელის დოჯსონი ჩამოვიდა ადგილზე და გაეცნო აქაურ გარემოს. შემდეგ ჩატარდა სამი ეტაპი შერჩეული მწერლებისთვის უორქშოპის სახით და ბოლოს ფინალისთვის მოხდა შერჩევა „როიალ ქორთის თეატრის“ სცენაზე თეატრალიზებული კითხვისთვის. ფინალამდე დამწყებმა დრამატურგებმა რთული გზა გაიარეს. ყველა ეტაპზე მოხდა მონაწილეთა გაცხრილვა. ორგანიზატორთა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მონაწილე პროექტს ეთიშება.

„ახალი დრამატურგია“ საგანმანათლებლო პროექტია, რომლის განხორციელების პროცესი შემოქმედებითი თვალსაზრისით საინტერესოა. მიზანი კი ის არის, რომ დაიწეროს ახალი პიესა. პირველი დავალებები, რომელსაც პროექტის ხელმძღვანელთან ერთად ტრენერები – გამოცდილი ახალგაზრდა დრამატურგები, რომლებმაც თავად გაიარეს ეს პროცესი, სავარჯიშოების სახითაა მოცემული. მონაწილეები ეტაპობრივად თანხმდებიან, რა თემებზე იმუშავებენ. საწყის ეტაპზე პროექტში ჩართული დრამატურგები მუშაობენ პიესის იდეის ჩამოყალიბებაზე, შემდეგ მათ ეძლევათ ორი თვე პირველი „დრაფტის“ დასაწერად. ფაქტობრივად, პიესის პირველი ვერსიის დამუშავებას ექვსი თვე სჭირდება. მეორე ეტაპი ლვოვში ჩატარდა, სადაც მონაწილეებმა ტრენერებისგან კვლავ მიიღეს ინსტრუქციები. ამ ეტაპზეც პროექტს კონკურსანტები ისევ გამოეთიშნენ. ქართველებიდან ლვოვის უორქშოფისთვის შვიდიდან ექვსი დრამატურგი დარჩა. ამის შემდეგ კვლავ გაიმართა დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები და მისცეს რჩევები. ამ მხრივ დათო გაბუნია აღმოჩნდა განსაკუთრებით აქტიური და ფანტასტიკური მრჩეველი კოლეგებისთვის. მეორე „დრაფტის“ მონახაზების დასრულების შემდეგ კვლავ ორი თვე მისცეს ტრენერებმა ავტორებს მუშაობისთვის, რომლის შემდეგ თბილისში შეკრება გადაწყდა, პიესების საფინალო ვერსიაზე მუშაობა თბილისში გაიმართა. ამ პერიოდში ჩატარდა მასშტაბური დისკუსია. მოხდა თითოეული სიტყვის სკრუპულოზური გარჩევა. 2012 წლის სექტემბერში ახალგაზრდა დრამატურგებმა თავიანთი პიესების საბოლოო ვერსიები ჩააბარეს. პროექტის საბოლოო მიზანი საუკეთესო პიესის „როიალ ქორთის თეატრის“ სცენაზე თეატრალიზებული წაკითხვაა, იდეალურ შემთხვევაში კი პიესა იდგმება როიალ ქორთის სცენაზე. ფინალამდე პროექტს ჩაემატა ერთი სასიამოვნო შეხვედრა შერჩეული მონაწილეებისა უკრაინაში. დრამატურგიის ფესტივალის ფარგლებში მოეწყო მონაწილეთა პიესების კითხვები უკრაინულ ენაზე, თუმცა, თავად უკრაინელი ავტორების პიესები რუსულ ენაზე წაიკითხეს, რადგან ისინი რუსულ ენაზე წერენ. უკრაინის თეატრალიზებული კითხვებისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ „როიალ ქორთის თეატრის“ სცენაზე „წაიკითხავდნენ“ ლაშა ბუღაძის პიესას, ხოლო დათა თავაძეს რაღაც დეტალები ჰქონდა დასამუშავებელი. დათამ ძალიან ბევრი იმუშავა ტრენერებთან, ლონდონმაც მიიღო ის ვერსია და კიევში დათაც დაპატიჟეს ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. მისი პიესის რეჟისორად კი ელის დოჯსონმა დათო გაბუნია მიიწვია. სწორედ მან იმუშავა უკრაინელ მსახიობებთან. გაჩნდა იმედი, რომ დათას პიესაც გავიდოდა ფინალში, თუმცა, სამწუხაროდ, ის მაინც ვერ მოხვდა საბოლოო სიაში. ამ პროექტს ერთი უცნაური თვისება აქვს: შეიძლება, გენიალური დრამატურგი იყო, მაგრამ ვერ თავსდებოდა „როიალ ქორთის თეატრის“ მოთხოვნებში.

ამ პროექტის საქართველოში წარმატება განაპირობა იმან, რომ ბრიტანეთის საბჭოსთვის საქართველო გახდა საინტერესო გეოგრაფიული არე. ძნელია, დააინტერესო ის, ვინც დიდ მასშტაბებზე მუშაობს, მაგრამ ქართველმა მონაწილეებმა ეს თავიანთი პროფესიონალიზმით შეძლეს. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ ბრიტანეთის საბჭომ და „როიალ ქორთ თეატრმა“ განახორციელონ ახალი დრამატურგიის უფრო ვრცელი პროექტი, რომელშიც ქართველ დრამატურგებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, თურქეთისა და რუსეთის წარმომადგენლები, არამედ ამერიკელი მწერლებიც და იგი ბათუმში ჩატარდება.

პროექტში მონაწილეებმა საკუთარი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს:

**დათო გაბუნია:**

– ამ ვორქშოპის განსაკუთრებულობა ჩემთვის იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მოიცავდა მთელ პროცესს – საპიესე იდეის განვითარებიდან დაწყებული, პიესის რამდენიმე დასრულებულ ვარიანტზე მუშაობით დამთავრებული. დამამახსოვრდა და არაერთხელ შემდგომშიც გამოვიყენე ბევრი პრაქტიკული სავარჯიშო თუ ხერხი. ეს ის შემთხვევა იყო, როცა თავისთავად ვორქშოპების პროცესმა ძალიან ბევრი რამ მასწავლა, საკუთარ ტექსტზე მუშაობის უნიკალური საშუალება მომცა. ასევე საინტერესო იყო ჯგუფური მუშაობის პრინციპი, როდესაც სხვა დრამატურგებს „ეხმარები“ შენი რჩევებით და ისინიც გეხმარებიან. ერთგვარი მოულოდნელობა იყო ვორქშოპის ხელმძღვანელ ელიზ დოდჯსონის მიერ ნათქვამი ფრაზა: დაგვისაბუთეთ, რატომ წერთ ამ პიესას სწორედ ახლა და სწორედ საქართველოში, რაშია მისი აქტუალობა სწორედ თქვენი ქვეყნისთვისო. ველოდი, რომ რაიმე „ზოგადსაკაცობრიოს“ მოგვთხოვდნენ, არადა, სულ პირიქით მოხდა. ამ გამოცდილების შემდეგ საკუთარი სამუშაოს მიმართ სულ მიჩნდება ეს კითხვა: რატომ ვაკეთებ ამას სწორედ ახლა, რითია ეს აქტუალური. თანაც, ჩემს მეგობრებს, იქნებიან ისინი რეჟისორები თუ დრამატურგები, სულ ამ კითხვას ვუსვამ: რატომ დგამ ამ პიესას დღეს, რატომ წერ ამ თემაზე დღეს? თუ მათ პასუხი აქვთ, იდეის მომხრე ვხდები. ეს, ერთი შეხედვით მარტივი ჭეშმარიტება ყველაზე ძვირფასი შენაძენია ჩემთვის ამ ვორქშოპიდან.

**ბაჩო კვირტია:**

– ეს გახლდათ უაღრესად საინტერესო ღონისძიება, განსხვავებული და სრულიად ორიგინალური ხედვით, მეთოდებით, ნიუანსებითა და საოცრად ადამიანური, უშუალო და უბრალო მიდგომით ვორქშოპის მონაწილეების მიმართ. ყოველი დღე ისეთივე სხვადასხვაგვარი და, ამავე დროს, მრავალფეროვანი იყო, როგორც გამოსახულებები კალეიდოსკოპში. მიუხედავად დაძაბული გრაფიკისა, დაღლილობის შეგრძნება, ფაქტობრივად, არავის ეტყობოდა. ბევრი რამ, რაც ვორქშოპზე მოვისმინე, აქამდე არც მსმენოდა, ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ უკეთ გავიგე, ბევრი დავიწყებული მქონდა და გავიხსენე, ხელახლა გავიაზრე და ისე დავიმახსოვრე, რომ, ალბათ, არასდროს დამავიწყდება. გასული ორი წლის მანძილზე, რაც ეს პროექტი მიმდინარეობდა, ყველას ჩემ ირგვლივ, ვინც ვორქშოპის შესახებ მეკითხებოდა, ერთსა და იმავეს ვპასუხობდი, და ახლაც ვიტყვი, რომ ლონდონის „როიალ ქორთის“ თეატრის მესვეურებმა, დრამატურგებმა, თეატრმცოდნეებმა, პროდიუსერებმა და მსახიობებმა საშუალება მოგვცეს, დრამატურგია განივკვეთში დაგვენახა და მისი უმცირესი, ცოცხალი ნაწილაკებისთვის თვალი მიგვედევნებინა. ფიგურალურად თუ ვიტყვი, ეს გახლდათ თანამედროვე დრამატურგიის მორფოლოგიის შესწავლა მიკროსკოპის ქვეშ.

**ნესტან-ნენე კვინიკაძე:**

– როდესაც წელიწად-ნახევრის მანძილზე, სხვადასხვა ქალაქებში და მოცემულობაში ერთსა და იმავე პროექტზე, პიესაზე, მუშაობ, რთულია, ნამუშევარი ობიექტურად შეაფასო. მაგრამ ჩემთვის ძალიან ადვილია, ბრიტანული თანამედროვე თეატრის „როიალ ქორთის“ მიმართ გამოვხატო სიმპათია. „როიალ ქორთთან“ თანამშრომლობით გამიმყარდა აზრი, რომ საერთაშორისო ბაზარს ყველაზე მეტად ადგილობრივი, ნაციონალური და შენი მშობლიური ისტორიები ხიბლავს. რაც უფრო კონკრეტულია ამბავი, მით უფრო მარტივია მისი განზოგადება. ინტერნაციონალურ მოცემულობაში დრამატურგებთან, რეჟისორებთან და პროდიუსერებთან მუშაობით რწმუნდები, რომ საბოლოო პროდუქტის მისაღებად არ უნდა გეშინოდეს, რამდენჯერმე თავიდან გადაწერო ტექსტი და ყველაფერი თავდაყირა დააყენო.

**ლაშა ბუღაძე:**

– ეს არ არის კონკურსი, ეს არის ვორქშოფი, რომელიც „როიალ ქორთთან“ ერთად ჩატარდა. მანამდე ვიყავი „როიალ ქორთის“ დრამატურგიულ რეზიდენციაში, სადაც ვმუშაობდი პიესაზე მსახიობებთან ერთად, შემდეგ უკვე სხვა ქართველი ავტორები და უკრაინელი დრამატურგებიც ჩაერთნენ ამ პროცესში. საბოლოოდ საქართველოდან გამოარჩიეს ჩემი პიესა და ის იქნება წარმოდგენილი 13 მარტს „როიალ ქორთის“ თეატრში. 10 მარტს უკვე იქ უნდა ვიყო. ჩატარდება კვირეული ქართული და უკრაინული დრამატურგიის, უკრაინიდან სამი ავტორია და საქართველოდან მე ვარ.

***– თქვენს პიესას ჰქვია „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“. რას გადაეკიდეთ პრეზიდენტს?***

– ეს პიესა პრეზიდენტზე არ არის, ამბავი უტრიალებს 2008 წლის აგვისტოს ომს და არის ადამიანებზე, რომელთა ბიოგრაფიაც წყდება ამ ტრაგიკული დღეების დროს. ისინი მთლიანად არიან მედიაზე, პრეზიდენტის გამოსვლებზე ორიენტირებული და თითქოს მათი ბედისწერა წყდება უკვე სადღაც სხვაგან და ადამიანებისგან მანიპულაციის შესაძლებლობა სიტუაციაზე უტოლდება ნულს. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი არის, როგორც ალეგორია, რომელიც გამოხატავს ყველა იმ მდგომარეობას, რომელიც მაშინ ჰქონდა ადამიანს – შიში, იმედი, დაბნეულობა, ოპტიმიზმი, პესიმიზმი – ყველაფერი ერთად.

***– ისეთივე ხმაურიანი პიესაა, როგორც თავის დროზე „პრეზიდენტი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და...“?***

– არა მგონია, ასეთი ხმაურიანი იყოს, გააჩნია, როგორ შევხედავთ. „როიალ ქორთში“ პოლიტიკური ქვეტექსტი არ აქვს პიესების დადგმას. ისე დგამენ პიესას, როგორც იწერება. ეს ბრიტანული ტრადიციაა დრამატურგიასთან დამოკიდებულებაში და მეც არ მიყვარს, მგონი, არც ერთ დრამატურგს არ უყვარს, როცა მის პიესას რადიკალურად ცვლიან. უბრალოდ, მე უფრო ვრეაგირებ ხოლმე. ინგლისში ამის შიში არ არსებობს, ის შექსპირის ქვეყანაა, დრამატურგის დაწერილ მძიმესაც უდიდეს ყურადღებას უთმობენ და ინტერპრეტაციის ტერიტორია საკმაოდ ახლოს არის ორიგინალთან, ფაქტობრივად, გადაკვეთაა დრამატურგის ჩანაფიქრთან. ვიცი, რომ როგორც დავწერე, ზუსტად ისე იქნება. ეს არ არის ხმაურიანი პიესა, ეს ტრაგიკომიკური პიესაა, კომედიის ელემენტს შეიცავს ყველა დრამატული ელემენტით და, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

***– თეატრის კვლევის ცენტრმა ყველაზე აქტიურ დრამატურგად დასახელათ. რით იზიდავთ რეჟისორებს?***

– ვერ გეტყვით, რაშია საქმე, ეს, ალბათ, რეჟისორებს უნდა ჰკითხოთ. ვფიქრობ, შედარებით მეტს ვწერ, მეორე, ძალიან ბევრს ვფიქრობ, რომ ტექსტი იყოს ცოცხალი. შეიძლება, პიესა არ გამოვიდეს და სიუჟეტი არ გამოვიდეს, ძალიან რთულია, რომ სცენისთვის დამაჯერებელი რეალობა შექმნა და მოიგონო. ყველაზე მეტად არ მიყვარდა ქართულ დრამატურგიაში, რომ ხშირად პიესის ლიტერატურულობა აფერხებდა სპექტაკლის ცოცხალ განცდას, იმიტომ რომ დიალოგები იყო და არის ხშირად ჩემთანაც ხელოვნური, არაბუნებრივი, პათეტიკური, არადამაჯერებელი, ტიპაჟი და ტექსტი შეუსაბამოა ერთმანეთთან. ეს, ალბათ, რაღაცნაირად ბუნებრივი მდგომარეობაც არის, ვცდილობ, ჩემი დიალოგები იყოს ცოცხალი და ტიპაჟებთან არ იყოს შეუსაბამობაში, თუმცა ზოგიერთ ქართველ რეჟისორს მაინც აქვს გაუცნობიერებელი მიმართება, როცა პიესაზე იწყებენ მუშაობას, მათ შენობა ააშენონ დესტრუქციის ანუ კონფლიქტის ხარჯზე და არა პირიქით, არა ტექსტის გახსნისა და გაშიფვრის გამოცნობის ხარჯზე, როგორც ეს დასავლეთში ხდება. ჩვენთან არის ტრადიცია – დანგრევის შედეგად აშენება. ეს არა მხოლოდ დრამატურგიას ეხება, საერთოდ ასეთი დამოკიდებულება გვაქვს ყველაფერთან, ამიტომ ეს აისახება დრამატურგიაზეც.

***– თქვენ არ გაქვთ სურვილი, მიუთითოთ რეჟისორს ცდომილების შესახებ?***

– ხშირად არის, რომ ვესწრები რეპეტიციებს და მსურს, რეჟისორს მივცე რჩევები. რეჟისორსაც თუ აქვს სურვილი, მომისმინოს, ეს ნიშნავს, რომ კარგი რეჟისორია. ხშირად არის, რომ არ აქვთ სურვილი და არ გენდობა დრამატურგს, თავისად თვლის ამ სპექტაკლს და ფიქრობს, რომ სხვანაირად არ შეუძლია ამის გაკეთება, სხვანაირად არ გამოუვა. ასეთ დროს მიჩნდება შეკითხვა: რატომ ირჩევენ მაშინ ჩემს პიესას, თუ სხვა რაღაც გამოსდით? ამ ბოლო დროს ჩემი ახალი პიესები ვნახე დადგმული ქართულ თეატრებში და ნამდვილად მრცხვენია იმ მაყურებლის, რომელიც მიდის და ნახულობს ამ სპექტაკლებს. დარწმუნებული ვარ, მერე ჩემზეა ეს მაყურებელი გაბრაზებული, იმიტომ რომ, მეც რომ მენახა ეს სპექტაკლები ისე, რომ პიესები არ მქონოდა წაკითხული, ასე ვიქნებოდი. ეს არის სრული საშინელება! ძალიან სამწუხაროა, მაგრამ რა უნდა ვთქვა? ბრიტანეთში ასეთი რამ არ დაგემართება, იმიტომ რომ დრამატურგი პასუხისმგებელია თავის შეცდომებზეც, აქ კი ბოდიშებს იხდი სხვისი შეცდომების გამო.

***– თუ მოისურვეს გამარჯვებული პიესის დადგმა, მისცემთ უფლებას?***

– რეჟისორები ჩემი მეგობრები არიან და ორ-სამ ადამიანს, რომლებსაც ძალიან ვენდობი, მიყვარს და მუდმივად ვთანამშრომლობ კიდეც, უნდათ ამ პიესის დადგმა, მაგრამ არ მაქვს უფლება, რადგან ამ პიესის საავტორო უფლებები ეკუთვნის ლონდონის თეატრს, პირველი დადგმის უფლება მათ აქვთ და, თუკი ქართველი რეჟისორები მოინდომებენ, მათ უნდა ვკითხო. ამ ბოლო დროს საქართველოშიც არის საავტორო უფლებები დაცული. ამ ორგანიზაციის წევრი ვარ და საკმაოდ დისციპლინურად მიდის ყველაფერი. რაც შეეხება ფინანსურ საკითხს, ყოველთვის კეთილსინდისიერად მატყობინებენ ყველაფერს. ერთადერთი, რამდენად შეიძლება გაკონტროლდეს ტექსტის პირველადი ვერსია, რომ არ დამახინჯდეს ავტორთან შეუთანხმებლად, ამ კუთხით პრობლემები გვაქვს. თუ ავტორთან შეთანხმებით ხდება ყველაფერი, მაშინ გასაგებია, მაგრამ, თუ ისე იცვლება ტექსტი, ეს უკვე გასაკონტროლებელია.

***– თქვენ გქონიათ შეგრძნება, რომ პრემიერაზე მისულს თქვენი პიესა ვერ გიცვნიათ?***

– კი, მქონია ასეთი შეგრძნება. ვყოფილვარ რამდენიმე სპექტაკლზე, რომლიდანაც წამოვსულვარ, ფიზიკურად ველარ გამიძლია, ყოფილა შემთხვევა, 30% პროცენტი ყოფილა ჩემი ტექსტი და დანარჩენი ჩამატებული, რომელიც არც ჩემი ტექსტია, არც ჩემი დაწერილია, არც ჩემი სტილია, აუღიათ ჩემი პიესა, როგორც ფაბულა და მერე ვითომ ჩემს სტილში დიალოგები მიუმატ-მოუმატებიათ. ეს არის სრული საშინელება, მუტანტს უყურებ, რომელსაც თითქოს შენი სახე უნდა ჰქონდეს, მაგრამ სხვა ცხვირი აქვს, სამი ხელი აქვს, სხვა ყურები აქვს, არც კლონია, არც ორეულია, თან შენ გგავს, თან არ ხარ შენ და უარესი ხარ.

***– დღეს წერთ ქართული თეატრებისთვის პიესებს?***

– დაკვეთების ტრადიცია ჩვენთან არ არის, მაგრამ, რადგან მაქვს რეჟისორებთან ურთიერთობა და ინტერესი არის, ვიცი, რომელი თეატრისთვის შეიძლება ვიფიქრო, როცა პიესას ვწერ, მაგრამ დაკვეთა, იშვიათი შემთხვევების გარდა, არ მქონია. ეს უფრო რომელიმე პიესის თარგმანს უკავშირდება, თარგმანი დაუკვეთიათ თეატრებს. სპეციალურად თეატრისთვის არასოდეს დამიწერია, მაგრამ რეჟისორებსაც უთხოვიათ, რომ ამა თუ იმ თემაზე დამეწერა პიესა და სამი შემთხვევა მქონია, იგივე „პრეზიდენტი და დაცვის ბიჭი“ სტურუასა და რუსთაველის თეატრის დაკვეთა იყოს თავის დროზე. ეს მოხდა 1999 წელს, დავწერე 30 პატარა სკეტჩი ამ თეატრის თხოვნით.

***– რამდენად ჩაგითრიათ პიესების წერამ, რომანებზე აღარ მუშაობთ?***

– რომანებსაც ვწერ, მაგრამ ისეთი ინტენსივობით ვერა, რადგან უფრო დიდ დროსა და ენერგიას ითხოვს. ახლა ვმუშაობ ახალ წიგნზე და მინდა, როცა შეიძლება, მალე გამოვიდეს, მაგრამ ვნახოთ, რა გამოვა. ძალიან მიყვარს თეატრებისთვის წერა.

***– ამიტომაც ამ ბოლო დროს, როგორც დრამატურგს, ისე მოგიხსენიებენ.***

– მერე რა, ამაში ცუდი სულაც არაფერია. დრამატურგია ძალიან კარგი ჟანრია. ყველაზე დიდი მწერალი, რომელსაც კი კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში უცხოვრია, თუკი ანტიკურ მწერლებს არ ჩავთლით, შექსპირი იყო, იგივე ანტიკოსი მწერლებიც დრამატურგები არიან, ჰომეროსის გარდა, ამიტომ დრამატურგობა ცუდი სულაც არ არის.





## ორშაბათი 4 მარტი

06.30 დ/ფ „ჩემი პატარა საწარმო — მიკროკრედიტი ევროპაში„ 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ადამიანი — პლანეტა„ 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 00.00 „საფარი„ 00.30 მხ/ფ „ბენჯამინ ბატონის იდუმალი საქმე„ (ბ.პიტი) (ტიტ.)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „ბერლინი„ 09.00 მხ/ფ „მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად„ 10.35 მხ/ფ „პიკის საათი-3„ (კ.ტაკერი) 12.15 მხ/ფ „გაიქეცი მსუქანო, გაიქეცი„ 14.00 დ/ფ „ღვინო„ მე-3 (დასკვნითი) ნაწ. 15.00, 17.00 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 5 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 კონცერტი: „ივერია„ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი„ 7 სერ. 23.00 მხ/ფ „პროფესიონალი მკვლელი„ (კ.ოუენი) 01.25 სერ. „ღვინის გზა„ 02.00 მხ/ფ „ბრილიანტის ამბავი„ (კ.ევანსი) (ტიტ.) 03.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ქ.მხ/ფ „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი„ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ბაში-აჩუკი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ V ნაწ. 13.25 კონცერტი-საოპერო მუსიკის საღამო 14.50, 18.35 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ეზოში ავი ძაღლია„ 17.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ VI ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სღვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 საქართველოს ისტორია 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „კაკ ენისელი„ 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

**მაესტრო** 07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 „ყოველდღიური აბები„ 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

## სამშაბათი 5 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 17.00 „საფარი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „აქცენტები„ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: მანჩესტერი — რეალი (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 01.30 მხ/ფ „წმინდა ვალენტინის დღე„ (ალბა) (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 5 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ I ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 6 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა(გაგრძელება)10.00სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 დოკ/ფ „ფუფუნების სამყარო„ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ავიატორი„ (კ. ბლანშეტი) 01.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.50 მხ/ფ „ძაღლური ცხოვრება„ (ბ.ჰოსკინსი) (ტიტ.) 03.30 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 სპექტაკლი „ეზოში ავი ძაღლია„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 მოკ/ფ „ჯეჯილა„ 10.50 საქართველოს ისტორია 10.20 სღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ VI ნაწ. 13.25 კონცერტი-პლაჩიდო დომინგო 14.50, 18.35, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ინესა მერაბიშვილი„ პორტრეტი 16.05 აქტუალური თემა 16.30 მხ/ფ „მეტიჩარა„ 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.02 პატრიარქის ქადაგება 21.05 დოკ/ფ „წინაპართა ნაკვალევზე„ 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 23.20 დოკ/ფ „გურული ფირალები„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

**მაესტრო** 07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 01.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 00.55 „ყოველდღიური აბები„ 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## ოთხშაბათი 6 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 17.00 „გურმანია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „წართული დოკუმენტალისტიკა„ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: იუვენტუსი — სელტიკი (პ/რ) ესვენებისას: „ვიქტორინა„ 01.30 მხ/ფ „სისხლიანი ალმასი„ (ლ.დიკაპრიო)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ I სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 დოკ/ფ „გასაოცარი კუნძულები - კუს კუნძული„ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი„ 8 სერ. 23.00 მხ/ფ „ძარცვა ფრანგულად„ (კ.კეიტელი) 01.00 სერ. „ღვინის გზა„ 01.35 მხ/ფ „დამალული სიმართლე„ (ჰ .ფორდი) (ტიტ.) 03.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ„ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „მეტიჩარა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „წინაპართა ნაკვალევზე„ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-თამარ ივერი 14.50, 22.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან„ 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ VII ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „ჩამავალი მზე„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა„

**მაესტრო** 07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.00, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 „ყოველდღიური აბები„ 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

## ხუთშაბათი 7 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.50 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ როგორ შეგვქმნა დედამიწამ„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 17.30 „AGVA - GEORGIA„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „თოვლის ანგელოზები„ (კ.ბეკინსეილი) 02.10 მხ/ფ „ავინიონის წინასწარმეტყველება„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 7 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 3 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 8 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 2 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გააჩერე 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ტრანსპორტერი – 3„ (ნ.რუდაკოვა) 01.15 სერ. „ღვინის გზა„ 00.50 მხ/ფ „მწყემსი კეთილი„ (ა.ჯოლი) 03.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 დოკ/ფ „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან„ 06.35 მოკ/ფ „ჩამავალი მზე„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 მოკ/ფ „წითელი ბუშტი„ 11.15 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ VII ნაწ. 13.25 კონცერტი-გიზი ამირეჯიბის საიუბილეო საღამო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „აურზაური სალხინეთში„. 17.10 დოკ/ფ ლელოს შემობრუნება„ 18.10 მრავალჟამიერი 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ხევისბერი გოჩა„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.20, 23.15 პერსპექტივა 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე„

**მაესტრო** 07.00, 05.35, 6.00, 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 6.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 „ყოველდღიური აბები„ 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

## პარასკევი 8 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ან/ფ „ოთხი ლოთხენი„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 09.30 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 10.30 საბ. მხ/ფ „კიტი კიტრიჯი: ამერიკელი გოგონას ოცნება„ 12.45 ქართ. ტ/ფ „მზე შემოდგომისა„ 14.20 მხ/ფ „მუსიკა და ლირიკა„ 17.00 დ/ფ „ამერიკის საიდუმლო„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „გრაბავიცა„ 02.20 მხ/ფ „ავინიონის წინასწარმეტყველება„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 8 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 4 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 9 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 3 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 00.50 მხ/ფ „გამოსასყიდი„ (მ.ბელო) 02.25 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 პერსპექტივა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „ხევისბერი გოჩა„ 13.30 კონცერტი - კამერული მუსიკის ფესტივალის დასკვნითი კონცერტი 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.10 კონცერტი-თემურ წიკლაური 18.05 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „უდიპლომო სასიძო„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ჩვენი ფონდი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

**მაესტრო** 07.00, 05.35, 6.00, 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა (დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 00.55 „ყოველდღიური აბები„ 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 01.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

## შაბათი 9 მარტი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბ. ან/ფ „განძთა კუნძული„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 03.20 „მოამბე„ 12.30 „AGVA-GEORGIA„ 13.00 მხ/ფ „თემო„ 14.55 რაგბი: ერთა თასის გათამაშება. საქართველო — ესპანეთი (პ/რ) 16.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 17.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 17.30 დ/ფ „წიგნის მშვენება„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „გურმანია„ 21.00 „ევროვიზიის დღიური„ 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ — ოკუპაცია: „განწირული ჩეხოსლოვაკია„ 23.00 „ახალი ქართული კინო„ 23.30 მხ/ფ „უშენოდ მგონი მოვკვდები„ 01.10 მხ/ფ „V ნიშნავს ვენდეტას„ (ნ. პორტმანი) 03.40 მხ/ფ „ავინიონის წინასწარმეტყველება„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „განრისხებული ფანტომასი„ (ლუი დე ფიუნესი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — უილის სიმფსონი 20.00 მხ/ფ „სიყვარულის სურნელი„ (მ. ბროდერიკი) 22.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო„ 4 სერ. 23.00 მხ/ფ „სრულყოფილი სამყარო„ (კ. კოსტნერი)

08.00 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები„ 08.30 ან/ფ „სალადინი" 1 სერია 09.00 მხ/ფ „ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. „ავატარი„ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „აიქარლი„ 14.20 მხ/ფ „რამდენად მნიშვნელოვანია იყო სერიოზული„ 16.00 სერ. „გმირები – 4„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „სისხლიანი განაჩენი„ (უ.დეფო) 01.50 მხ/ფ „ღვთის გამოგზავნილი„ (რ.დე ნირო) 03.55 მუსიკა

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30MTVROOMRAIDERS09.00 ანიმაცია 10.00MTVTEENCRIBS11.00 სერ. „კლუბი„ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 სერ. „LOVERS AND SECRETS„ 16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ) 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 რა? სად? როდის? - გ/ჩ 00.00 პოკერის ტურნირი 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 „Latin Angels„ 02.00, 04.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე,ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „უდიპლომო სასიძო„ 13.30 პერსპექტივა 15.10 ოპერა-„ტოსკა„ 17.25 დოკ/ფ „9 მარტი-1956 წელი„ 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 დოკ/ფ „ცხრა კოლაელი ყრმა„ 21.30 „კარაბადინი„ 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 პორტრეტი „ერთსულოვნების„ გალერეიდან 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 მხ/ფ „დები ბრონტეები„

**მაესტრო** 07.00, 00.00, 01.00, 03.00, 05.00, 05.55 ახალი ამბების კოლაჟი 07.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 16.35, 17.25, 18.45, 19.10, 21.40, 00.30, 04.30, 05.25, 06.20 უცხოეთის ამბები 08.30 კვირის არგუმენტები (გამ) 10.00 დილა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30, 13.05, 14.05, 16.05, 17.05 ყოველდღიური აბები (გამ) 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 01.30 სტუდია „მონიტორის„ ჟურნ. გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 02.00 „პრეს-პრესი„ 23.00, 03.30 „ჩვენ„ - თამარ ჩიქოვანთან ერთად

## კვირა 10 მარტი

08.00 საბ/ფ „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 „ჩვენი ექსპრესი„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 14.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 „სპექტაკლის დრო„ — სატელევიზიო სპექტაკლი: „ეს არ უნდა მომხდარიყო„ 15.00 დ/ფ „მონტესუმა„ 16.30 „ჩვენი ეზო„ 17.30 „ვაშინგტონი დღეს„ 18.00 დ/ფ „დიდი საბჭოთა ტერორი: ადამიანური ისტორიები„ 18.40 ბიძინა კვერნაძის საიუბილეო საღამო 20.00 მხ/ფ „თუ დედამთილი ურჩხულია„ (ჯ.ლოპესი) 22.00 დ/ფ „ერთი ოჯახის ისტორია„ 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „გრან ტორინო„ 03.30 მხ/ფ „ავინიონის წინასწარმეტყველება„

08.00 დ/ფ „ანატოლიის გარგარი„ 09.00 „ბრიფინგის დრო„ (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ „ნენის დრუ„ 11.35 მხ/ფ „ბანზაი„ 12.55 მხ/ფ„ბეტმენი-დასაწყისი„ 15.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 18.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „სტოკჰოლმი„ 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — ოდრი ჰეპბერნი 20.00 მხ/ფ „ოუშენის 13 მეგობარი„ (ჯ.კლუნი) 22.00 ტ/სერ „მდიდნები მეექვსე სართულიდან„ I სერ. 23.00 მხ/ფ „სექსი დიდ ქალაქში„ (სარა ჯ.პარკერი)

08.00 ან/ფ „სალადინი" 2-3 სერ. 09.00 მხ/ფ „ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 „Victoria's Secret-ის ფეშენ შოუ 2012 14.20 მხ/ფ „ტაქსი 4„ 16.00 სერ. „გმირები – 4„ 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: „შინი„ 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 23.25 მხ/ფ „მფრინავი ხანჯლების სახლი" (ტ.კანეშირო) 01.30 მხ/ფ „მუხლუხას რჩევა„ (ე.დიკი) 03.00 მუსიკა

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია 11.00 სერ. „კლუბი„ (ს2) 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 15.30 სერ. „LOVERS AND SECRETS„ 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი დაწყება 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 02.00, 04.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.00 ძველი აფიშა 13.30 „ჩვენი ტრაპეზი„ 13.40 ქართული მულტფილმი 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.40 ეპოქის სახელები 16.05 კონცერტი - ჯანო ბაგრატიონი 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ „მაცი ხვიტია„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 21.40 „კვირიაკე„ 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ/ფ „400 დარტყმა„

**მაესტრო** 07.00, 23.00, 00.00, 01.00, 03.00, 04.00, 05.00, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 00.25, 02.30, 03.30, 04.30, 06.30 უცხოეთის ამბები 10.00 დილა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00 პრეს-პრესი (გამ.) 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 „ჩვენ„ თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 01.30 დისკუსია - სტუდია „რე„ 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე

# რომის პაპი გადადგა

– რომის პაპი გადადგა. ბენედიქტე მეთექვსმეტე ვერტმფრენით თავის რეზიდენციაში (რომის მახლობლად) გაემგზავრა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ამ რეზიდენციაში პაპი დაახლოებით ორ კვირას დაჰყოფს. სწორედ ამდენი ხანი სჭირდება ვატიკანის ერთ-ერთ მონასტერში რემონტის დამთავრებას, რომელიც ბენედიქტე მეთექვსმეტის საცხოვრებელი გახდება. მას რჩება კარდინალის ტიტული, თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, ვატიკანის ცხოვრებაში აქტიურ ჩარევას არ აპირებს.

– რასაკვირველია, მუდამ მზად ვიქნები ჩემს შემცვლელს რჩევით დავეხმარო, მაგრამ აქტიურად არაფერში ჩავერევი, – განაცხადა პაპმა.

ბენედიქტე მეთექვსმეტე (იოზეფ რატცინგერი) ეროვნებით გერმანელია. ის 1927 წელს ბავარიაში პოლიციის მოხელის ოჯახში დაიბადა. ბავშვობიდანვე საოცრად მორწმუნე იყო, თუმცა იმ ეპოქაში, რომელშიც რატცინგერს ცხოვრება მოუხდა, ეს არცთუ უხიფათო იყო.

– უფალმა ინება ასეთ შფოთიან დროს მეცხოვრა ალბათ იმიტომ, რომ ვუყვარვარ და სურდა გამოვეცადე, – იგონებდა შემდგომში ბენედიქტე მეთექვსმეტე.

რატცინგერის სიჭაბუკე გერმანიის ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლას დაემთხვა. ჰიტლერელები, როგორც ცნობილია, ათეისტები იყვნენ. ეკლესიასთანაც ფრიად რთული ურთიერთობები ჰქონდათ. ფიურერის ბრძანებით ტაძრები გესტაპოს აგენტურით გაივსო. ჰიტლერული საიდუმლო პოლიცია ფხიზლად უთვალთვალებდა როგორც სასულიერო პირებს, ისე მათაც, ვინც ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს ხალხი, როგორც „არაკეთილსაიმედონი", აღრიცხვაზე აჰყავდათ და ყველა მათგანზე დაწვრილებითი დოსიე დგებოდა.

– ჰიტლერს განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე რელიგიის გავლენის ეშინოდა. ამიტომ ახალგაზრდებს, რომლებიც ეკლესიაში დადიოდნენ, აქტიურად „ამუშავებდნენ". ამ დროს გამოიყენებოდნენ როგორც პროპაგანდისტები, ისე საიდუმლო პოლიციაც. გესტაპო შანტაჟისა და მუქარის გზით ცდილობდა ახალგაზრდობა ეკლესიისაგან ჩამოეშორებინა, – წერს იულიან სემიონოვი.

თავისი ქრისტიანული პოზიციის გამო რატცინგერს არა ერთი პრობლემა შეხვდა. ჯერ ჰიტლერ იუგენდის წევრები არწმუნებდნენ, რომ დღეს, როცა ახალი გერმანია იქმნება, ნამდვილი პატრიოტი ეკლესიაში კი არა, ჩვენს რიგებში უნდა იმყოფებოდესო. შემდეგ ნაცისტები მუქარაზე გადავიდნენ. აქაოდა შენნაირები ხელახალ აღზრდას საჭიროებენ და საკონცენტრაციო ბანაკში ხარ გამოსამწყვდევიო. რატცინგერმა ამაზე მიუგო:

– მუქარა და ძალადობა უდიდესი ცოდვაა, თუმცა უფალს ვთხოვ, გაპატიოთ, რამეთუ არ უწყით, რასა იქმთ!

ამის შემდეგ რატცინგერს ქუჩაში უცნობი ხულიგნები დაესხნენ თავს და სცემეს. მიუხედავად ამისა, მან ეკლესიაში სიარული არ შეწყვიტა.

რატცინგერი ბოლომდე ცდილობდა ჯარში სამსახურისთვის თავი აერიდებინა. ჰიტლერული სახელმწიფო მანქანა მას ბოროტებად მიაჩნდა, ომი კი - დანაშაულად კაცობრიობის წინაშე. მიუხედავად ამისა, ჯარში წასვლა მაინც მოუხდა. 1945 წელს დამხმარე ნაწილებში სამსახურისათვის გაიწვიეს. რატცინგერი იძულებული გახდა დამორჩილებოდა, თუმცა პირველსავე ხელსაყ-



რელ მომენტში ჯარიდან გაიქცა. ეს მართლაც ვაჟკაცური საქციელი გახლდათ, რადგანაც ჰიტლერმა ბრძანება გასცა, დეზერტირები ადგილზე დაეხვრიტათ. რატცინგერი სიკვდილს სასწაულით გადაურჩა. შინ დაბრუნების შემდეგ კი უკვე ამერიკელებმა დააპატიმრეს. ომი დამთავრებული იყო, გერმანია დამარცხდა, ბავარიასაც აშშ-ს შეიარაღებული ძალები აკონტროლებდნენ. ვიღაცამ ამერიკელებს აცნობა, რატცინგერი ჰიტლერული არმიის ჯარისკაცი იყოო.

– მათაც დამაპატიმრეს, ტყვეთა ბანაკში კარგა ხანს მაყურყუტეს, სანამ ყველაფერში არ გაერკვნენ და არ გამომიშვეს, – იგონებდა რატცინგერი.

რომის მომავალმა პაპმა უმაღლესი ფილოსოფიური და თეოლოგიური განათლება მიიღო. უკვე ახალგაზრდობისას მან თავი გამოიჩინა როგორც პატიოსანმა და პრინციპულმა სასულიერო პირმა. დემო-კოსმოპოლიტები მას ალმაცერად უყურებდნენ, რადგანაც რატცინგერი ტრადიციულ ფასეულებებს უჭერდა მხარს. ის არ მალავდა, რომ ერთსქესიანი ქორწინებებისადმი ურყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა:

– ჰომოსექსუალიზმი და ლესბოსელობა უდიესი ცოდვაა! ამისი პროპაგანდაც არასდიდებით არ შეიძლება. ეს მხოლოდ მორალურ გახრწნილობასა და საზოგადოების ზნეობრივ დეგრადაციას უწყობს ხელს, – ამტკიცებდა რატცინგერი.

ზოგიერთმა „ინტელექტუალმა" ამის გამო კონსერვატორად მონათლა. რატცინგერის პაპად არჩევის შემდეგ ისინი ამტკიცებდნენ:

– ვატიკანში კონსერვატიულმა ძალებმა გაიმარჯვეს!

თუმცა ამისთანები უმცირესობას წარმოადგენდნენ. უმრავლესობა მიესალმა რატცინგერის პაპად არჩევას, რაც 2005 წელს მოხდა, როდესაც ის უკვე ხნიერი იყო. მანამ ის იყო საკმაოდ ცნობილი კარდინალი. აღმოჩნდა, რომ პაპობა ხნიერი ადამიანისათვის მძიმე ტვირთი იყო. ვატიკანის გარშემო არაერთი სკანდალი აზვირთდა. აქედან ყველაზე პიკანტური სასულიერო სკანდალები იყო. პრესაში ერთი-მეორის მიყოლებით ქვეყნდებოდა მასალები სასულიერო პირების სექსუალური ძალადობის შესახებ. ცხადი გახდა, რომ განათლებული, წესიერი, მაგრამ უკვე ხნიერი და ავადმყოფი პაპი მოვალეობას თავს ვერ გაართმევდა. მალე სექსუალურ სკანდალებს ფინანსურიც მოჰყვა. ბენედიქტე მეთექვსმეტესაც მართვის სადავეები დღითიდღე ხელიდან ეცლებოდა. საბოლოოდ ეს პაპის გადადგომით დამთავრდა, რაც ძალიან დიდი იშვიათობაა. უკანასკნელად ასეთი რამ დაახლოებით 600 წლის წინ მოხდა.

– მე ვგრძნობ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ასეთი საპასუხისმგებლო პოსტის დაკავება აღარ შემიძლია,– განუცხადა ჟურნალისტებს პაპმა.

დასავლურ პრესაში სისტემატიურად ქვეყნდება მასალები ვატიკანში მიმდინარე შიდა ფრაქციული ბრძოლების შესახებ. ვინ გახდება პაპი? ეს კითხვა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა და ეს ბენედიქტე მეთექვსმეტემაც აღიარა:

– იმედი მაქვს, რომ შიდა ბრძოლა, რამაც დღეს ჩვენი ეკლესია მოიცვა, მის მთლიანობას საფრთხეს არ შეუქმნის, – განაცხადა მან.

ამრიგად, კათოლიკური ეკლესია დროებით პაპის გარეშე დარჩა. ბენედიქტე მეთექვსმეტე ოფიციალურად გადადგა. ახალი პაპის ვინაობას, სავარაუდოდ, აღდგომის წინ შევიტყობთ.

**ნიკა თევზაძე**

# იტალიის პროკურატურა ბერლუსკონის კორუფციაში ადანაშაულებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვე იყო აღძრული სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეები. 2012 წელს ის ფინანსურ მაქინაციებში ბრალდებულად ცნეს და ოთხი წელი ციხე მიუსაჯეს, თუმცა, ეს ვადა ამნისტიით ერთ წლამდე შემცირდა. ამის შემდეგ ბერლუსკონის ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და ყოფილი პრემიერი ამ დრომდე თავისუფლებაზეა.

სილვიო ბერლუსკონი (დ. 29 სექტემბერი 1936, მილანი, იტალია) იტალიის პრემიერ-მინისტრი იყო 1994-95, 2001-06 და 2008-11 წლებში.

ბერლუსკონი არის იტალიის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, ფლობს სამ იტალიურ ტელეარხს, იტალიის უდიდეს საგამომცემლო სახლს. 1986 წლიდან არის საფეხბურთო კლუბ „მილანის" მფლობელი და პრეზიდენტი. ჟურნალ „ფორბსის" ინფორმაციით, 2011 წელს მისი აქტივები შეფასებულია 6 მილიარდ დოლარად.

როგორც აღვნიშნეთ, 2012 წლის 26 ოქტომბერს სილვიო ბერლუსკონი საგადასახადო თაღლითობის გამო გაასამართლეს და 4 წელი მიუსაჯეს.

# სამგლოვიარო განცხადებები



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, მე-60 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

**ნელი**
**დარბაისელი-ქურციკიძისა**

სკოლის დირექცია, პედაგოგები, მოსწავლეები და მშობელთა კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ასეთი დიდებული პიროვნების, პედაგოგის, მეგობრის, დედისა და ბებიის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის შვილებს, შვილიშვილებსა და ახლობლებს. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩებათ გულში მის აღზრდილებსა და მეგობრებს.

დაე, მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა!

სტომატოლოგიური კლინიკა „ნაზიდენტი" იუწყება, რომ გარდაიცვალა კლინიკის დამფუძნებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ქალბატონი

**ნაზიკო ნიშნიანიძე**

და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# განცხადებები


● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.




# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ნავსადგური, ბალნეოლოგიური კურორტი ბულგარეთში; 2. კარნავალის დროს გათამაშებული მომენტალური ლატარია; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. საჭმელი სოკო; 5. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 7. მდინარე ფლორენციაში; 11. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მე-10 საუკუნეში; 13. საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა პარლამენტში მიმდინარე პოლიტიკური საკითხების გამო; 15. მწირი, მცირე მოსავლიანი ნიადაგი; 16. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 18. იორდანიის დედაქალაქი; 19. ცალკეული სცენებისა და ნომრებისგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა.

**თარაზულად:** 6. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 8. სარეკლამო ლოზუნგი; 9. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 10. ლაპარაკში, ქცევაში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 12. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 14. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. ავარიის შედეგად გემის ტვირთის ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 20. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 21. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 23. ძველბერძენი ისტორიკოსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სპირალი; 2. მიჩიგანი; 3. სიროკო; 4. კიოტო; 5. ჯაბახანა; 8. მატადორი; 12. რენო; 13. ლუიზიანა; 14. კლიპსი; 16. დადიანი; 18. გაუჩო; 20. ვერე.

**თარაზულად**; 6. ეპიკარდი; 7. გლიპტიკა; 8. მწნილი; 9. ქააბა; 10. პაპიროსი; 11. ვიბრაცია; 15. მუჯურეთული; 17. ბოტეგა; 19. სერვოლანი; 21. ტარაბუა; 22. პარანომის. 23. მერკელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. დნესტრი; 2. საბენა; 3. თერაპევტი; 4. ვირთხა; 5. ფორსინგი; 7. ნომი; 11. ლუმიერი; 13. ვარაუდი; 15. ბრაგა; 16. კომლი; 18. ნანდუ; 19. რუპია.

**თარაზულად**: 6. ნიანგი; 8. ბარნელა; 9. ტერტერა; 10. ტარიელი; 12. დაფნე; 14. ბატონი; 17. ტერენკური; 20. გრეგორი; 21. ეგრისი; 22. დეფილე; 23. დინდგელი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


2 მარტი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6563

ევრო — 2,1871

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5267

100 რუსული რუბლი — 5,4556

**ამინდის პროგნოზი 2 მარტისთვის**





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება **პირველი და მეორე ტომები**

1 მარტიდან **მესამე ტომი**

5 მარტიდან **მეოთხე ტომი**

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55**




## გიორგი ცინცაძე: „წარმატება ბევრ შრომას მოაქვს“

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე რამდენი დღის წინ „ოლიმპიაკოსის“ თვალთახედვის არეში მოხვდა და იყო შანსი, ბერძნულ კლუბში გიორგი შერმადინის თანაგუნდელი გამხდარიყო, თუმცა, ეს საქმე არ შედგა.

სამაგიეროდ, „ბუ“ დიდი სიმპათიით სარგებლობს კიევში და ახლახან „ბუდიველნიკის“ ვებგვერდზე მასთან ვიდეოინტერვიუ გამოქვეყნდა.

ჩვენებური ინტერვიუს გასულ ევრობასკეტზე საუბრით იწყებს.

**გიორგი ცინცაძე:**

– საერთო ჯამში, ნაკრებმა კარგად ითამაშა. ევრობასკეტზე დებიუტი გვქონდა და ტოპ-12-ში მოვხვდით. საწყისი ეტაპის ბოლოს ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია, ტრავმა მიიღო ჩვენმა კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ, მეც მუხლი დამიზიანდა და გუნდი ორი სასტარტო კალათბურთელის გარეშე დარჩა. ამის მიუხედავად, მეორე ეტაპზე ღირსეულად იბრძოლა, ორი მატჩი მხოლოდ ბოლო წუთებზე დათმო და მეოთხედფინალში ვერ გავედით. ეს იყო ჩვენი პირველი ევრობასკეტი. მივიღეთ გამოცდილება და მომდევნო ასეთ შეჯიბრებაში ვეცდებით, უკეთესად გამოვიდეთ.

***– რის ხარჯზე შეიძლება კალათბურთში მაღალი შედეგების მიღწევა?***

– რამის მიღწევა თუ გინდა, იოლი გზით შედეგამდე ვერ მიხვალ. წარმატება ბევრ შრომას მოაქვს.

***– კიევში ყველაზე მეტად რა მოგწონს?***

– თუ ამინდი ხელს მიწყობს, ოჯახთან ერთად ქალაქის ქუჩებში ვსეირნობ. ვათვალიერებთ ღირსშესანიშნაობებს. როცა გარეთ ცივა, სეირნობის სურვილი არ მიჩნდება.

***– რას ნიშნავს შენთვის „ბუდიველნიკი“?***

– სერიოზული ტრავმის შემდეგ ამ გუნდმა ევროპაში დაბრუნებისა და საკუთარი შესაძლებლობების ჩვენების შანსი მომცა. საბედნიეროდ,


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## ასტროპროგნოზი

**2 მარტი – წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** – ახალი პროექტი გაამართლებს, მთავარია არ იზარმაცოთ. **ლომი** – ახალი სიყვარული გეწვევათ. **ქალწული** – ფულს იშოვით, თანაც – ბლომად. **სასწორი** – ახალი საქმე მოგწონთ, მაგრამ გადაღლილი ხართ. **ღრიანკალი** – თქვენს ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა. **მშვილდოსანი** – ფიქრებში ხართ, სიტუაციას აანალიზებთ. **თხის რქა** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, გელით სასიამოვნო ამბები. **თევზები** – თქვენი საქმე კარგად წავა.

**3 მარტი – ეს დღე მშვიდად ჩაივლის**

**ვერძი** – ფული გაქვთ, შენაძენით კმაყოფილი ხართ. **კურო** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – სიყვარული დაკარგეთ, მაგრამ მალე ახალს იპოვით. **ლომი** – მშვენიერი დღე გელოდებათ. **ქალწული** – აფორიაქება მალე გაგივლით. **სასწორი** – ყურადღება არ მოადუნოთ, გაკვირდებიან. **ღრიანკალი** – ფული გაქვთ, პრობლემასაც მოევლება. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **მერწყული** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **თევზები** – სასიამოვნო სიახლე დაგამშვიდებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იტალიის პროკურატურა ბერლუსკონის კორუფციაში ადანაშაულებს

იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონიზე ახალი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმე კორუფციას ეხება. ამის შესახებ სააგენტო „ფრანს-პრესი“ ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით იუწყება.



გამოძიების მონაცემებით, 2006 წელს ბერლუსკონიმ სენატორ სერხიო დე გრეგორიოს სამი მილიონი ევრო გადაუხადა. ეს უკანასკნელი არჩევნებში გამარჯვებული მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის შემადგენლობაში შედიოდა. რამდენიმე თვის შემდეგ, სენატორმა კარდინალურად შეცვალა თავისი შეხედულებები და ბერლუსკონის მემარჯვენე ოპოზიციაში გადავიდა. მოსყიდვის შედეგად კი, სახელისუფლებო მემარცხენეებმა, რომანო პროდის ხელმძღვანელობით, სენატში უმრავლესობა დაკარგეს და გადადგნენ. ამის შემდეგ, ვადამდელი არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში კვლავ ბერლუსკონი მოვიდა.

საქმე ნეაპოლის პროკურატურამ აღძრა, რადგან სწორედ ამ ქალაქმა აირჩია გრეგორიო. სილვიო ბერლუსკონის იტალიის პრემიერ-მინისტრის პოსტი რამდენჯერმე ეკავა. მის წინააღმდეგ უკ-


გაგრძელება მე-11 გვერდზე





**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფიჭიანი თაფლი; 2. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 3. პატარა, ჩქარტემპიანი მუსიკალური ნაწარმოები; 4. პროფესიონალი ცხენოსანი; 5. ძალზე პატარა ტანის ადამიანი; 8. სწორკუთხა, უგუმბათო, ქრისტიანული ტაძარი; 12. ბრიტანული ლუდხანა; 13. კარსტული მღვიმე იმერეთში; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 18. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში.

**თარაზულად:** 6. სომალის დედაქალაქი; 7. ღვინის სპირტი; 8. დამატებითი ჯილდო, პრემია; 9. უმცროსი მატროსი გემზე; 10. ებრაული სამლოცველო; 11. ჩვილი ბავშვის საფენი; 15. გულისცემის აჩქარება; 17. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 19. ხილის წვენების პიურესგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი; 21. ამერიკული ჟურნალი; 22. სამხედრო გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 23. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ბალოტელიმ სკულპტურა დაუკვეთა

აფრიკული წარმოშობის იტალიელმა ფეხბურთელმა მარიო ბალოტელიმ საკუთარი სკულპტურის გაკეთება განიზრახა. ამ ცნობას აპენინური პრესა ავრცელებს.



ჟურნალისტებმა მილანელ მოქანდაკეს მიაკვლიეს, რომელსაც შეკვეთა უკვე მიუღია და ბალოტელის სკულპტურაზე მუშაობა დაწყებული აქვს.

– პირადად მარიოს ნამდვილად არ ვიცნობ, მაგრამ მისი ოჯახის წევრები მოვიდნენ და სკულპტურა დამიკვეთეს. მუშაობა უკვე დაწყებული მაქვს. მითხრეს, რომ ქანდაკება თავად ბალოტელის სახლის წინ უნდა დაიდგას, რომელიც ბრეშაში მდებარეობს. ქანდაკებაში მარიო გოლს აღნიშნავს და, თუ რომელ გოლზეა ლაპარაკი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, – აცხადებს სკულპტორი.

სავარაუდოდ, სკულპტორმა გერმანიასთან ევროპის ჩემპიონატზე გატანილი გოლის შემდეგ აღნიშვნა უნდა გამოსახოს.